დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - ქალაქ ბათუმის №21 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: **ლელა ჯაში**

წევრები:

მაკა კანდელაკი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

ნინო ფსუტური - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

ირმა ქაფიანიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

სოფიკო მჭედლიშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;

ელენე ხუციშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;

ანგელინა ეფრემიძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;

თეონა შერაზადიშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;

თამარ მურუსიძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;

მარინა ანესაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;

ნინო ჯოჯიშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	*სსიპ - ქალაქ ბათუმის №21 საჯარო სკოლა*
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	*საჯარო სამართლის იურიდიული პირი*
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	*246011765*

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	*ქალაქი ბათუმი*
ფაქტობრივი მისამართი	*დ. თავდადებულის ქუჩა N61*
საფოსტო ინდექსი	*6010*
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	*https://skolebi.emis.ge/*
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	*Batumi21@mes.gov.ge*
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	*სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მ/შ ბრძანება MES 2 26 0000803288, 26.06.2026წ. - „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ქალაქ ბათუმის №21 საჯარო სკოლაში ვიზიტის შესახებ“.*
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	*16 და 17 ივლისი, 2026წ.*

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების **ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	*ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*დაწყებითი საფეხური*	*ქართული ენა*	*ქ. ბათუმი, დ. თავდადებულის ქუჩა N61, 1 (ერთი) შენობა*
2	*ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საბაზო საფეხური*	*ქართული ენა*	*ქ. ბათუმი, დ. თავდადებულის ქუჩა N61, 1 (ერთი) შენობა*
3	*ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხური*	*ქართული ენა*	*ქ. ბათუმი, დ. თავდადებულის ქუჩა N61, 1 (ერთი) შენობა*

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მ/შ ბრძანების MES 2 26 0000803288, 26.06.2026წ. - „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ქალაქ ბათუმის №21 საჯარო სკოლაში ვიზიტის შესახებ“ საფუძველზე, მიმდინარე წლის 16 და 17 ივლისს განხორციელდა ვიზიტი სსიპ- ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლაში (შემდგომში სკოლა, დაწესებულება). ექსპერტების ჯგუფს დაევალა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში

გასაუბრებოდნენ მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით. ვიზიტის ბოლოს, ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც სამუშაო პროცესში გამოიკვეთა. აღსანიშნავია, რომ წარმოების ფარგლებში საგნობრივ ექსპერტებს, სხვა საკითხებთან ერთად, უნდა განეხორციელებინათ სასწავლო პროცესში გამოყენებული კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსების შესაბამისობის დადგენა მოქმედ კანონმდებლობასთან. ზემოაღნიშნული განხორციელდა ინტერვიუირების, შესყიდვების დოკუმენტაციის, ასევე, იმ ფოტომასალის საფუძველზე, რომელიც ვიზიტის მიმდინარეობისას ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტების მიერ გადაეგზავნათ საგნობრივ ექსპერტებს.

ქალაქ ბათუმში ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა მნიშვნელოვან, სტრატეგიულ საგანმანათლებლო პროექტს წარმოადგენს. ბათუმის ურბანული განვითარების ტემპმა და მოსახლეობის მატებამ მნიშვნელოვნად გაზარდა მოთხოვნა თანამედროვე და ხარისხიან საგანმანათლებლო სივრცეებზე, განსაკუთრებით იმ უბნებში, რომლებიც აქტიური განაშენიანებით და მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვით გამოირჩევა. აღნიშნულ უბანში ამჟამად ფუნქციონირებს ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პირველი საჯარო სკოლა, რომელიც მოსწავლეთა დიდი რაოდენობის გამო, გადატვირთულია, შესაბამისად, ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა აუცილებელი ნაბიჯია განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით.

პროექტის განსაკუთრებული მნიშვნელობა განპირობებულია იმითაც, რომ დაწესებულება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, მრავალფუნქციური საგანმანათლებლო სივრცეა. ახალი სკოლა აღჭურვილია თანამედროვე სასწავლო კაბინეტებით, საბუნებისმეტყველო და საინფორმაციო ტექნოლოგიების ლაბორატორიებით, ბიბლიოთეკით, სააქტო და სპორტული დარბაზებით, და ინკლუზიური განათლებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურით. ტექნოლოგიური და საგანმანათლებლო რესურსების ინტეგრირება ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანობის ზრდას და მოსწავლეთა მრავალმხრივი განვითარებისათვის საჭირო პირობების შექმნას.

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის მიერ შედგენილი გარკვეული დოკუმენტები წარმოდგენილი იყო პროექტის სახით, ან, მათი ძალაში შესვლის თარიღი დაკავშირებული იყო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის მინიჭების პერიოდთან. დოკუმენტების ნაწილი არ იყო დამტკიცებული შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ, ვინაიდან ისინი ჯერ კიდევ არ იყო ფორმირებული (სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო და ა.შ.). აღნიშნული ვითარების გათვალისწინებით, ექსპერტებმა განიხილეს და შეფასებისთვის გამოიყენეს დაწესებულებაში არსებული, უკვე ძალაში შესული აქტები/რეგულაციები/დებულებები და ასევე, პირველადი დოკუმენტაცია (პროექტი).

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 1400	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

<u>შენიშნვა: მოსწავლეთა აღნიშნული რაოდენობა (1400) სკოლაში განთავსდება 2 (ორი) ცვლაში.</u>

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.1.2.3.	*პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს დარაჯის, ექიმის, ბიბლიოთეკარის და საინფორმაციო მენეჯერის დასაქმება სკოლაში შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, არაუგვიანეს 10.09.2026წ.*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

ინდიკატორი N3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა*	• *დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, არაუგვიანეს 15.06.2027წ.* • *დაწესებულებამ უზრუნველყოს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, არაუგვიანეს 15.06.2027წ.* • *დაწესებულებამ უზრუნველყოს ღობის მოწყობის სამუშაოების დასრულება და მომიჯნავე შენობაზე რკინის ბადის დამაგრება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - სასწავლო წლის დაწყებამდე, არაუგვიანეს 15.09.2026წ.*
ინდიკატორი N3.4.1.2	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს ექიმის დასაქმება სკოლაში შესაბამისობ გეგმაში მითითებულ ვადაში, არაუგვიანეს 10.09.2026წ.*
ინდიკატორი N3.5.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლ საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინები*	• *დაწესებულებამ უზრუნველყოს საჯარო რეესტრის ამონაწერის მოპოვება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, არაუგვიანეს 27.07.2027წ.*
ინდიკატორი N3.5.1.3.	*სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით დ დამხმარე ლიტერატურით ბიბლიოთეკის აღჭურვა, საინვენტარიზაციო წიგნის ფორმირება და ბიბლიოთეკით სარგებლობის გრაფიკის დამტკიცება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, არაუგვიანეს 27.06.2027წ.*

ინდიკატორი N3.6.3.1	*სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს საზოგადოების ინფორმირება და კომუნიკაცია ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდის და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, არაუგვიანეს 15.06.2027წ.*
ინდიკატორი N3.6.3.5	*ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები დ მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიშ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს ვებ. გვერდზე სკოლის შესახებ ინფორმაციის განთავსება შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში, არაუგვიანეს 15.06.2027წ.*
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* *(დაწყებითი საფეხური)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N2.2.2.4	*სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს სამოქალაქო განათლების პედაგოგის დასაქმება სკოლაში შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში, არაუგვიანეს 10.09.2026წ.*

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* *(საგაზო საფეხური)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N2.2.2.3	*კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	*საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმის შეუფერხებელი და უსაფრთხო განხორციელების მიზნით, სკოლამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის განრიგის მკაცრი დაცვა - ამწოვი კარადისა და ცეცხლგამძლე ზედაპირის მქონე სამუშაო მაგიდის დამონტაჟებ შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში, არაუგვიანეს 15.06.2027. აღნიშნული ინფრასტრუქტურის სრულყოფამდე, პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდეს უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვითა და ალტერნატიული (მათ შორის, ვირტუალური/სიმულაციური) სასწავლო რესურსების გამოყენებით.*
ინდიკატორი N2.2.2.4	*სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს ფიზიკის, გეოგრაფიისა და სამოქალაქო განათლების პედაგოგების დასაქმება სკოლაში შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში, არაუგვიანეს 10.09.2026წ.*

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* *(საშუალო საფეხური)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N2.2.2.3	*კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	*საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმის შეუფერხებელი და უსაფრთხო განხორციელების მიზნით, სკოლამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის განრიგის მკაცრი დაცვა - ამწოვი კარადისა და ცეცხლგამძლე ზედაპირის მქონე სამუშაო მაგიდის დამონტაჟება შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში, არაუგვიანეს 15.06.2027. აღნიშნული ინფრასტრუქტურის სრულყოფამდე, პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდეს უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვითა და ალტერნატიული (მათ შორის, ვირტუალური/სიმულაციური) სასწავლო რესურსების გამოყენებით.*

ინდიკატორი N2.2.2.4	*სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს ფიზიკის, გეოგრაფიისა და სამოქალაქო განათლების პედაგოგების დასაქმება სკოლაში შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში, არაუგვიანეს 10.09.2026წ.*

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა*	*სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და ექსპერტთა მხრიდან გაიცა რჩევა აღნიშნული კადრის სკოლაში დასაქმების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით*
ინდიკატორი N3.4.1.2	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას*	*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და*

		სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ ბრძანების №41/ნ/01-23/, 21.03.2022წ. საფუძველზე, სასურველია, მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობიდან გამომდინარე (1400), სკოლაში დასაქმდეს მეორე ექიმიც.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(დაწყებითი საფეხური)*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *- სასურველია დაწყებით (მე და საზოგადოება), საშუალო (გეოგრაფია, მოქალაქეობა) საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები შეივსოს სრულად. ყველა საგნის სტანდარტით გათვალისწინებულ სავალდებულო თემებში წარმოდგენილი იყოს კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელთა ნაბიჯ-ნაბიჯ დამუშავებით, მოხდება გრძელვადიან მიზნებზე და მის შედეგებზე გასვლა. ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება იყოს დამუშავებული.* ***ესთეტიკური აღზრდა*** *- სასურველია მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სამივე საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო იყოს ერთნაირი. ასევე დაწყებითი საფეხურის რესურსების გრაფა იქნას სრულად შევსებული ელექტრონული რესურსების და გვერდების მითითებით. დაწყებითი საფეხურის მუსიკის საგნის კურიკულუმებში მოცემული ქვეცნებების ზემოთ ნაწილში, განისაზღვროს სამიზნე ცნებება "მუსიკა" და შესაბამისად ჩასწორდ I-VI კლასის კურიკულუმები.* *ასევე თემა, ცნება/ქვეცნებები და დავალების პირობა უფრო დეტალურად დაკონკრეტდეს და მოვიდეს შესაბამისობაში. შეირჩეს სამიზნე ცნებების-ქვეცნებები რომელიც შესაბამისობაში იქნება სასწავლო მიზნებთან და დავალების შინაარსთან.*

		მათემატიკა *- სასურველია, ზოგიერთი კლასის სასწავლო გეგმა გადაიხედოს და მოხდეს თემების ესგ-ს მიხედვით განსაზღვრა, რათა სასწავლო პროცესი უფრო მიზანმიმართული და თანმიმდევრული გახდეს. (მაგ: 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4.)* ***სპორტი*** *- სამომავლოდ სასურველია, რომ დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმში, იყოს შეტანილი თემა თეორიული მიმართულებითაც (მაგალითად, თემა ცხოვრების ჯანსაღი წესის პრინციპების შესახებ.)* ***ტექნოლოგიები*** *- სასწავლო პროცესის კიდევ უფრო მეტად ეფექტურობისა და მოსწავლეზე ორიენტირებულობის მიზნით, მიზანშეწონილია პედაგოგებმა იმუშაონ კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმში გამოყენებული ციფრული რესურსების კიდევ უფრო მეტ გამრავალფეროვნებაზე. მე-5 და მე-კლასების კურიკულუმის დოკუმენტში სრულად შეავსონ „კონტექსტ-მაგალითების“ გრაფა. სასკოლო კურიკულუმში პერიოდულად უნდა აისახოს და დაინერგოს ახალი საგანმანათლებლო პლატფორმები, ვიზუალური პროგრამირების ან ონლაინ-ინსტრუმენტები, რომლებიც მნიშვნელოვნად გაზრდის მოსწავლეთა შინაგან მოტივაციას და უზრუნველყოფს შეძენილი ცოდნის წარმატებულ ტრანსფერს და მოსწავლეთა პროცესში ჩართულობას. სასურველია კურიკულუმის საბოლოო ვერსიის ტექნიკური გადამოწმება მასში არსებული მექანიკური და ტერმინოლოგიური ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით.*
ინდიკატორი N2.1.2.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	***სახელმწიფო ენა*** *- გადაიხედოს I კლასის სახელმწიფო ენის კურიკულუმი და წინასაანბანო პერიოდში სრულად აისახოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა სამიზნე ცნება, მათ შორის - დაწერილი და წარმოთქმული სიტყვა* ***მათემატიკა*** *- სასურველია გადაიხედოს ზოგიერთი კლასის კურიკულუმი და სამიზნე ცნებების ქვეცნებების განსაზღვრა მოხდეს ესგ-ს მატემატიკის სტანდარტის შესაბამისად. (მაგ: მე-2, მე-3, მე-4, და საკითხები*

		შესაბამისობაშია მოსაყვანი). სასურველია დაწყებითი (1-4) კლასების კურიკულუმშებში ასახოთ შემოქმედებითი დავალებები. ***ტექნოლოგიები*** *- სასურველია, კათედრამ გააგრძელოს მუშაობა შემოქმედებითი დავალებების ბანკის გამდიდრებაზე, რათა კიდევ უფრო მეტად მოხდეს საგნობრივი სტანდარტის შედეგების (ინდექსების) ინტეგრირება ყოველდღიურ სასწავლო პროცესში და შენარჩუნდეს სპირალური სწავლების მაღალი ხარისხი.* ***ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური*** *- აუცილებელია ქართული ენის პირველი კლასის კურიკულუმში, წინა საანბანო პერიოდში დამუშავდეს ცნება წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა და დანარჩენ ცნებებს ჰქონდეს დართული შესაბამისი ქვეცნებები. სასურველია I-IV კლასების ბუნების და მათემატიკის კურიკულუმებში სავალდებულო თემები სრულად იყოს შესაბამისობაში საგნობრივ სტანდარტთან.*
ინდიკატორი N2.1.2.3	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიე კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *- სასურველია დაწყებით, საბაზო და საშუალ საფეხურზე წარმოდგენილ დამატებით რესურსებს დაემატოს მრავალფეროვანი და საინტერესო ციფრული რესურსების ბმულები, რომელი მჭიდრო ურთიერთკავშირში იქნება სამიზნე ცნებასთან და გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები.* ***უცხოური ენები*** *- სასურველია, რომ უცხოური ენების კათედრამ გამოიყენოს უფრო მრავალფეროვანი რესურსები, როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით, რომლებიც მორგებული იქნება მოსწავლეთა ინტერესებზე, ასაკობრივ თავისებურებებსა და საჭიროებებზე. ამასთანავე, სასურველია, კონტექსტ მაგალითის გრაფაში მითითებული იყოს კონკრეტული რესურსი (მაგალითად: ესეს მოდელი, ტექსტი, ბროშურა და სხვ.), რომელიც მოსწავლეს დაეხმარება კონკრეტულ დავალებაზე მუშაობის პროცესში.*

		მათემატიკა *- სასურველია მოხდეს დამხმარე რესურსების გამრავალფეროვნება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების გათვალისწინებით, განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე მხოლოდ სახელმძღვანელოს იყენებთ. (მაგ: მე-2კლ) ასევე, ზოგიერთი კლასის კურიკულუმში სასურველია გააქტიუროთ ჰიპერლინკები, არ იხსნება (მაგ, მე 4კლ, მე-5კლ, მე-6კლ) სასურველია გამოიყენოთ: iსკოლის რესურსები. math.ge ზე არსებულ რესურსები და სხვა.~* ***ტექნოლოგიები*** *- სკოლამ მიზანშეწონილია შეიმუშაოს და დანერგოს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ისეთი მექანიზმი, რომელიც კურიკულუმების ყოველწლიური გადასინჯვის პროცესში უზრუნველყოფს რესურსების სვეტი პერიოდულ განახლებასა და ციფრული სასწავლო მასალების ბანკის (ბიბლიოთეკის) გამდიდრებას.*
ინდიკატორი N2.1.2.3	*სასწავლოლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს*	***ტექნოლოგიები*** *- სასურველი სასწავლო პროცესში გამოყენებულ დიფერენცირებული სწავლების მიდგომები გაიწეროს კურიკულუმებშიც.*
ინდიკატორი N2.1.2.3	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამებ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *- სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე აქტიურად გამოიყენოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლების თითოეული საგნის სტანდარტის შედეგების ინდიკატორებიდან გამომდინარეობს და გრძელვადიან მიზნისკენ ანუ სამიზნე ცნებისკენ მიემართება. სავალდებულო თემაში დასამუშავებელ კომპლექსური ბუნების დავალებას თან ახლდეს შეფასების რუბრიკები.* ***უცხოური ენები*** *- მნიშვნელოვანია, რომ კათედრამ შეიმუშაოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ყველა შესასწავლი თემის ფარგლებში. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ შემაჯამებელი დავალება მოიცავდეს როგორც ღია, ისე დახურული ტიპის დავალებებს, რომ მოხდეს არა მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის, არამედ მოსწავლის ანალიზის და ენის კონტექსტში გამოყენების უნარის შემოწმება.*

		ესთეტიკური აღზრდა *- სასურველია VI კლასის მუსიკის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში განისაზღვროს ქულები თითოეულ კრიტერიუმთან მიმართებაში. ასევე VI კლასის განმავითარებელი და და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების მიხედვით ჩამოყალიბდეს დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები საგნების მიხედვით კათედრაზე. სტანდარტით განსაზღვრული თემის, საკითხის, ცნება/ქვეცნების გათვალისწინებით.* ***სახელმწიფო ენა*** *- სასწავლო წლის დაწყებამდე თითოეული საფეხურისათვის შემუშავდეს შეფასების რუბრიკები ისე, რომ შეფასების კრიტერიუმები მკაფიოდ დაუკავშირდეს კონკრეტულ საკითხებსა და სამიზნე ცნებებს.* ***მათემატიკა*** *- შეფასების რუბრიკების შექმნისას სასურველია მასწავლებლებმა აქტიურად გამოიყენონ ესგ-ის საგნობრივი მიზნები, როგორც სახელმძღვანელო სწავლებისას და შეფასებისას. ასევე თითოეული სასწავლო ერთეულის, გაკვეთილისა და დავალების დაგეგმვისას მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, ესგ-ის რომელ კონკრეტულ მიზნებსა და შედეგებზე მუშაობს მოსწავლე. შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის.* ***სპორტი*** *- სამომავლოდ სასურველია, რომ მათ მიერ შექმნილი შეფასების რუბრიკები იყოს მეტად დახვეწილი და კონკრეტული, ისე რომ კრიტერიუმები შეესაბამებოდეს შესაფასებელი თემის საკითხებს, თითოეული სამიზნე ცნების მიხედვით.* ***ტექნოლოგიები*** *- სასურველია შეფასების სისტემა გადაიხედოს და ყველა რუბრიკა დაეფუძნოს სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებს, რათა შეფასება*

		გახდეს უფრო ვალიდური. კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებმა დანერგონ ციფრული პორტფოლიოების სისტემა, სადაც მოსწავლეები განათავსებენ თავიანთ ნამუშევრებსა და მათზე გაკეთებულ უკუკავშირებს წლის განმავლობაში. ეს დაეხმარება მოსწავლეებს, თვალსაჩინოდ დაინახონ საკუთარი პროგრესი დროში და გააძლიეროს შეფასების პროცესის დოკუმენტირება.
ინდიკატორი N2.2.1.1	*სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად*	***უცხოური ენები*** *- მნიშვნელოვანია, რომ სამივე საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში მიუთითოთ საათობრივი განაწილება თითოეულ თემასთა მიმართებით.*
ინდიკატორი N2.2.1.3	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** *-კარგი იქნება თუ სკოლა გამოიყენებს არა მხოლოდ თემებზე, არამედ საკითხებზე მორგებულ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებსაც, სადაც მკაფიოდ იქნება გამოხატული საკითხის შინაარსთან შესაბამისობაში მყოფი კრიტერიუმები, რომლებიც წინასწარ იქნება ცნობილი სასკოლო საზოგადოებისთვის. ეს უზრუნველყოფს მოსწავლის აკადემიური პროგრესის ობიექტურ შეფასებასა და კონსტრუქციული უკუკავშირის მიწოდებას.* ***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *- სასურველია დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე კათედრამ შეიმუშაოს კურიკულუმში გაწერილი კომპლექსური ბუნების დავალებების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებზე (სამიზნე ცნება) და დაეფუძნება ვალიდურობის, გამჭირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს.* ***სახელმწიფო ენა*** *- შეფასების სისტემის ვალიდურობისა და სანდოობის კიდევ უფრო გაძლიერების მიზნით, სასურველია შეფასების რუბრიკებში განსაზღვრული კრიტერიუმები უფრო მჭიდროდ იყოს დაკავშირებული შესაბამის სამიზნე ცნებებსა და თემატურ საკითხებთან.*

		მათემატიკა *- მიუხედავად წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტებისა, ზოგიერთი რუბრიკა ატარებს ზოგად ხასიათს (მაგალითად, განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები დაწყებით, საგაზო და საშუალო საფეხურებზე). სასურველია, კათედრამ გადასინჯოს და უფრო მეტად დააკონკრეტოს აღნიშნული რუბრიკები, ისე რომ ისინი ზუსტად შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის (ესგ) მათემატიკის სტანდარტის მიზნებსა და შეფასების ინდიკატორებს. ეს უზრუნველყოფს სუბიექტური თუ შემთხვევითი ფაქტორების გავლენის მინიმუმამდე შემცირებას.* ***ტექნოლოგიები*** *- სასურველია შეფასების რუბრიკები განახლდეს და დაეფუძნოს სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებს.*
ინდიკატორი N2.2.2.1	*კურიკულუმით განსაზღვრული ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*	***მათემატიკა*** *- სასურველია გაამდიდრდეს ზოგიერთი კლასის დამხმარე რესურსთა სია.* ***ტექნოლოგიები*** *- სასურველია, კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებმა მეტად წაახალისონ მოსწავლეები, რათა მათ თავად შექმნან სასწავლო ციფრული რესურსები (მაგალითად, ვიდეო-გაიდები ან ელექტრონული წიგნები თანატოლებისთვის), რაც გააძლიერებს მათ მეტაკოგნიტურ უნარებსა და შემოქმედებითობას.*
ინდიკატორი N2.2.2.2	*სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას*	***ტექნოლოგიები*** *- სასურველია, მასწავლებლებმა შექმნან ამ გამოცდილი და საუკეთესო რესურსების ერთგვარი ციფრული ბიბლიოთეკა, რაც გაამარტივებს მათ გამოყენებას მომავალში და დაეხმარება ახალ კოლეგებს გამოცდილების სწრაფად გაზიარებაში.*

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* *(საგაზო საფეხური)*	*რჩევა*

ინდიკატორი N2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	***ესთეტიკური აღზრდა*** *- სასურველია მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სამივე საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო იყოს ერთნაირი. ასევე დაწყებითი საფეხურის რესურსების გრაფა იქნას სრულად შევსებული ელექტრონული რესურსების და გვერდების მითითებით.* ***სახელმწიფო ენა*** *- სასწავლო წლის დაწყებამდე დასრულდეს საბაზო საფეხურის VII და IX კლასების საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება.* ***მათემატიკა*** *- სასურველია, ზოგიერთი კლასის სასწავლო გეგმა გადაიხედოს და მოხდეს თემების ესგ-ს მიხედვით განსაზღვრა, რათა სასწავლო პროცესი უფრო მიზანმიმართული და თანმიმდევრული გახდეს. (მაგ: მე-7 კლასი.)*
ინდიკატორი N2.1.2.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *- სასურველია, მე-7, მე-8, მე-9 კლასის მოქალაქეობის კურიკულუმში ჩაწერილი სამიზნე ცნებები ჩაიწეროს მე-10 კლასის მოქალაქეობის კურიკულუმის სამიზნე ცნებების შესაბამისად.* ***მათემატიკა*** *- სასურველია გადაიხედოს ზოგიერთი კლასის კურიკულუმი და სამიზნე ცნებების ქვეცნებების განსაზღვრა მოხდეს ესგ-ს მატემატიკის სტანდარტის შესაბამისად. (მაგ:, მე-7 კლასი-თემები და საკითხები შესაბამისობაშია მოსაყვანი).*
ინდიკატორი N2.1.2.3	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიე კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *- სასურველია დაწყებით, საბაზო და საშუალ საფეხურზე წარმოდგენილ დამატებით რესურსებს დაემატოს მრავალფეროვანი და საინტერესო ციფრული რესურსების ბმულები, რომელ მჭიდრო ურთიერთკავშირში იქნება სამიზნე ცნებასთან და გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები.* ***უცხოური ენები*** *- სასურველია, რომ უცხოური ენების კათედრამ გამოიყენოს უფრო მრავალფეროვანი რესურსები, როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით, რომლებიც მორგებული იქნება მოსწავლეთა ინტერესებზე, ასაკობრივ თავისებურებებსა და საჭიროებებზე. ამასთანავე, სასურველია, კონტექსტ მაგალითის გრაფაში მითითებული იყოს*

		კონკრეტული რესურსი (მაგალითად: ესეს მოდელი, ტექსტი, ბროშურა და სხვ.), რომელიც მოსწავლეს დაეხმარება კონკრეტულ დავალებაზე მუშაობის პროცესში.
ინდიკატორი N2.1.2.3	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *- სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე აქტიურად გამოიყენოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლების თითოეული საგნის სტანდარტის შედეგების ინდიკატორებიდან გამომდინარეობს და გრძელვადიან მიზნისკენ ანუ სამიზნე ცნებისკენ მიემართება. სავალდებულო თემაში დასამუშავებელ კომპლექსური ბუნების დავალებას თან ახლდეს შეფასების რუბრიკები.* ***უცხოური ენები*** *- მნიშვნელოვანია, რომ კათედრამ შეიმუშაოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ყველა შესასწავლი თემის ფარგლებში. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ შემაჯამებელი დავალება მოიცავდეს როგორც ღია, ისე დახურული ტიპის დავალებებს, რომ მოხდეს არა მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის, არამედ მოსწავლის ანალიზის და ენის კონტექსტში გამოყენების უნარის შემოწმება.* ***ესთეტიკური აღზრდა*** *- VI კლასის განმავითარებელი და და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების მიხედვით ჩამოყალიბდეს საბაზო და საფეხურის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები საგნების მიხედვით კათედრაზე. სტანდარტით განსაზღვრული თემის, საკითხის, ცნება/ქვეცნებ გათვალისწინებით.* ***სახელმწიფო ენა*** *- სასწავლო წლის დაწყებამდე თითოეული საფეხურისათვის შემუშავდეს შეფასების რუბრიკები ისე, რომ შეფასების კრიტერიუმები მკაფიოდ დაუკავშირდეს კონკრეტულ საკითხებსა და სამიზნ ცნებებს.*

		მათემატიკა *- შეფასების რუბრიკების შექმნისას სასურველია მასწავლებლებმ აქტიურად გამოიყენონ ესგ-ის საგნობრივი მიზნები, როგორც სახელმძღვანელო სწავლებისას და შეფასებისას. ასევე თითოეული სასწავლო ერთეულის, გაკვეთილისა და დავალების დაგეგმვისას მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, ესგ-ის რომელ კონკრეტულ მიზნებსა და შედეგებზე მუშაობს მოსწავლე. შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის.* ***სპორტი*** *- სამომავლოდ სასურველია, რომ მათ მიერ შექმნილი შეფასების რუბრიკები იყოს მეტად დახვეწილი და კონკრეტული, ისე რომ კრიტერიუმები შეესაბამებოდეს შესაფასებელი თემის საკითხებს, თითოეული სამიზნე ცნების მიხედვით.*
ინდიკატორი N2.2.1.1	*სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად*	***უცხოური ენები*** *- მნიშვნელოვანია, რომ სამივე საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში მიუთითოთ საათობრივი განაწილება თითოეულ თემასთა მიმართებით.*
ინდიკატორი N2.2.1.3	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** *-კარგი იქნება თუ სკოლა გამოიყენებს არა მხოლოდ თემებზე, არამედ საკითხებზე მორგებულ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებსაც, სადაც მკაფიოდ იქნება გამოხატული საკითხის შინაარსთან შესაბამისობაში მყოფი კრიტერიუმები, რომლებიც წინასწარ იქნება ცნობილი სასკოლო საზოგადოებისთვის. ეს უზრუნველყოფს მოსწავლის აკადემიური პროგრესის ობიექტურ შეფასებასა და კონსტრუქციული უკუკავშირის მიწოდებას.* ***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *- სასურველია დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე კათედრამ შეიმუშაოს კურიკულუმში გაწერილი კომპლექსური ბუნების დავალებების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებზე (სამიზნე ცნება) და დაეფუძნება ვალიდურობის, გამჭირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს.*

		სახელმწიფო ენა *- შეფასების სისტემის ვალიდურობისა და სანდოობის კიდევ უფრო გაძლიერების მიზნით, სასურველია შეფასების რუბრიკებში განსაზღვრული კრიტერიუმები უფრო მჭიდროდ იყოს დაკავშირებული შესაბამის სამიზნე ცნებებსა და თემატურ საკითხებთან.* ***მათემატიკა*** *- მიუხედავად წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტებისა, ზოგიერთი რუბრიკა ატარებს ზოგად ხასიათს (მაგალითად, განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე). სასურველია, კათედრამ გადასინჯოს და უფრო მეტად დააკონკრეტოს აღნიშნული რუბრიკები, ისე რომ ისინი ზუსტად შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის (ესგ) მათემატიკის სტანდარტის მიზნებსა და შეფასების ინდიკატორებს. ეს უზრუნველყოფს სუბიექტური თუ შემთხვევითი ფაქტორების გავლენის მინიმუმამდე შემცირებას.*
ინდიკატორი N2.2.2.1	*კურიკულუმით განსაზღვრული ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*	***მათემატიკა*** *- სასურველია გაამდიდრდეს ზოგიერთი კლასის დამხმარე რესურსთა სია.*

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* *(საშუალო საფეხური)*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	***ესთეტიკური აღზრდა*** *- სასურველია მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სამივე საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო იყოს ერთნაირი.* ***მათემატიკა*** *- სასურველია, ზოგიერთი კლასის სასწავლო გეგმა გადაიხედოს და მოხდეს თემების ესგ-ს მიხედვით განსაზღვრა, რათა სასწავლო პროცესი უფრო მიზანმიმართული და თანმიმდევრული გახდეს.*
ინდიკატორი N2.1.2.3	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *- სასურველია დაწყებით, საბაზო და საშუალ საფეხურზე წარმოდგენილ დამატებით რესურსებს დაემატოს*

	რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიე კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	*მრავალფეროვანი და საინტერესო ციფრული რესურსების ბმულები, რომელი მჭიდრო ურთიერთკავშირში იქნება სამიზნე ცნებასთან და გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები.* ***უცხოური ენები*** *- სასურველია, რომ უცხოური ენების კათედრამ გამოიყენოს უფრო მრავალფეროვანი რესურსები, როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით, რომლებიც მორგებული იქნება მოსწავლეთა ინტერესებზე, ასაკობრივ თავისებურებებსა და საჭიროებებზე. ამასთანავე, სასურველია, კონტექსტ მაგალითის გრაფაში მითითებული იყოს კონკრეტული რესურსი (მაგალითად: ესეს მოდელი, ტექსტი, ბროშურა და სხვ.), რომელიც მოსწავლეს დაეხმარება კონკრეტულ დავალებაზე მუშაობის პროცესში.* ***მათემატიკა*** *- სასურველია მოხდეს დამხმარე რესურსების გამრავალფეროვნება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების გათვალისწინებით. ასევე, ზოგიერთი კლასის კურიკულუმში სასურველია გააქტიუროთ ჰიპერლინკები, სასურველია გამოიყენოთ: iსკოლის რესურსები math.ge ზე არსებულ რესურსები და სხვა.*
ინდიკატორი N2.1.2.3	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამებ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *- სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე აქტიურად გამოიყენოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლების თითოეული საგნის სტანდარტის შედეგების ინდიკატორებიდან გამომდინარეობს და გრძელვადიან მიზნისკენ ანუ სამიზნე ცნებისკენ მიემართება. სავალდებულო თემაში დასამუშავებელ კომპლექსური ბუნების დავალებას თან ახლდეს შეფასების რუბრიკები.* ***უცხოური ენები*** *- მნიშვნელოვანია, რომ კათედრამ შეიმუშაოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ყველა შესასწავლი თემის ფარგლებში. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ შემაჯამებელი დავალება მოიცავდეს როგორც ღია, ისე დახურული ტიპის დავალებებს,*

		რომ მოხდეს არა მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის, არამედ მოსწავლის ანალიზის და ენის კონტექსტში გამოყენების უნარის შემოწმება. ***სახელმწიფო ენა*** *- სასწავლო წლის დაწყებამდე თითოეული საფეხურისათვის შემუშავდეს შეფასების რუბრიკები ისე, რომ შეფასების კრიტერიუმები მკაფიოდ დაუკავშირდეს კონკრეტულ საკითხებსა და სამიზნ ცნებებს.* ***მათემატიკა*** *- შეფასების რუბრიკების შექმნისას სასურველია მასწავლებლებმ აქტიურად გამოიყენონ ესგ-ის საგნობრივი მიზნები, როგორც სახელმძღვანელო სწავლებისას და შეფასებისას. ასევე თითოეული სასწავლო ერთეულის, გაკვეთილისა და დავალების დაგეგმვისას მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, ესგ-ის რომელ კონკრეტულ მიზნებსა და შედეგებზე მუშაობს მოსწავლე. შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის.* ***სპორტი*** *- სამომავლოდ სასურველია, რომ მათ მიერ შექმნილი შეფასების რუბრიკები იყოს მეტად დახვეწილი და კონკრეტული, ისე რომ კრიტერიუმები შეესაბამებოდეს შესაფასებელი თემის საკითხებს, თითოეული სამიზნე ცნების მიხედვით.*
ინდიკატორი N2.2.1.1	*სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად*	***უცხოური ენები*** *- მნიშვნელოვანია, რომ სამივე საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში მიუთითოთ საათობრივი განაწილება თითოეულ თემასთა მიმართებით.*
ინდიკატორი N2.2.1.3	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** *-კარგი იქნება თუ სკოლა გამოიყენებს არა მხოლოდ თემებზე, არამედ საკითხებზე მორგებულ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებსაც, სადაც მკაფიოდ იქნება გამოხატული საკითხის შინაარსთან შესაბამისობაში მყოფი კრიტერიუმები, რომლებიც წინასწარ იქნება ცნობილი სასკოლო საზოგადოებისთვის. ეს უზრუნველყოფს მოსწავლის აკადემიური პროგრესის ობიექტურ შეფასებასა და კონსტრუქციული უკუკავშირის მიწოდებას.*

		საზოგადოებრივი მეცნიერებები *- სასურველია დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე კათედრამ შეიმუშაოს კურიკულუმში გაწერილი კომპლექსური ბუნების დავალებების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებზე (სამიზნე ცნება) და დაეფუძნება ვალიდურობის, გამჭირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს.* ***სახელმწიფო ენა*** *- შეფასების სისტემის ვალიდურობისა და სანდოობის კიდევ უფრო გაძლიერების მიზნით, სასურველია შეფასების რუბრიკებში განსაზღვრული კრიტერიუმები უფრო მჭიდროდ იყოს დაკავშირებული შესაბამის სამიზნე ცნებებსა და თემატურ საკითხებთან.* ***მათემატიკა*** *- მიუხედავად წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტებისა, ზოგიერთი რუბრიკა ატარებს ზოგად ხასიათს (მაგალითად, განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე). სასურველია, კათედრამ გადასინჯოს და უფრო მეტად დააკონკრეტოს აღნიშნული რუბრიკები, ისე რომ ისინი ზუსტად შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის (ესგ) მათემატიკის სტანდარტის მიზნებსა და შეფასების ინდიკატორებს. ეს უზრუნველყოფს სუბიექტური თუ შემთხვევითი ფაქტორების გავლენის მინიმუმამდე შემცირებას.*
ინდიკატორი N2.2.2.1	*კურიკულუმით განსაზღვრული ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*	***მათემატიკა*** *- სასურველია გაამდიდრდეს ზოგიერთი კლასის დამხმარე რესურსთა სია.*

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებამ სრულად გაიზიარა დასკვნის პროექტში არსებული ფაქტობრივი გარემოებები და შესაბამისობის გეგმით განსაზღვრა რიგ ინდიკატორებთან დაკავშირებით შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადები.

კერძოდ, ინდიკატორები N3.1.2.3., N3.4.1.1., N3.4.1.2., N3.5.1.1., N3.5.1.3., N3.6.3.1., N3.6.3.5 შესაბამისობის გეგმის საფუძველზე შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

ასევე, სასკოლო კურიკულუმებთან მიმართებით, დაწყებით საფეხურზე ინდიკატორი N2.2.2.4 ., ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურზე ინდიკატორები N2.2.2.4 და N2.2.2.3 - მეტწილი შესაბამისობით.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. შემუშავებული მისიით დაწესებულება გეგმავს უსაფრთხო, ინკლუზიური და მხარდამჭერი სასწავლო გარემოს შექმნას, სადაც სწავლება წარიმართება კვლევაზე დაფუძნებული მიდგომებით და მოსწავლე ჩამოყალიბდება მაძიებელ, კრიტიკულად მოაზროვნე და დამოუკიდებელ პიროვნებად.

სკოლის ხედვაც, მკაფიოდ ასახავს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტის მთავარ პრინციპს, სკოლა ისწრაფვის ჩამოყალიბდეს თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცედ, სადაც სწავლება დაინერგება კვლევაზე დაფუძნებული და პრაქტიკულ გამოცდილებაზე ორიენტირებული მიდგომებით. უსაფრთხო, ინკლუზიურ და თანამშრომლობაზე დაფუძნებულ გარემოში უზრუნველყოფილი იქნება თითოეული მოსწავლის აკადემიური, ემოციური და სოციალური განვითარების ინტეგრირებული მხარდაჭერა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

მისიისა და ხედვის შინაარსიდან ჩანს, რომ სკოლა საკუთარ როლს მოიაზრებს, როგორც უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. ხედვაშიც და მისიაშიც ხაზგასმულია უსაფრთხო, ინკლუზიური და მხარდამჭერი გარემოს მნიშვნელობა, სადაც უზრუნველყოფილია მოსწავლის მრავალმხრივი განვითარება. სკოლის ფილოსოფიაში აქცენტირებულია ის ძირითადი მიმართულებები, რომლისთვისაც შეიქმნა დაწესებულება და უზრუნველყოფს უსაფრთხო, პოზიტიური, მოსწავლის ინტერესებზე მორგებული, სიახლეებზე და განვითარებაზე ორიენტირებული, თანამშრომლობითი სასწავლო გარემოს შექმნას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

მიუხედავად იმისა, რომ სკოლა ახლადდაფუძნებული იურიდიული პირია და ჯერ არ ჰყავს მოსწავლეები და მშობლები, დოკუმენტურად დეკლარირებული მიზნები და ღირებულებები აჩვენებს, რომ საგანმანათლებლო გარემო დაგეგმილია ისე, რომ უზრუნველყოს მოსწავლის აკადემიური, ემოციური და სოციალური განვითარება უსაფრთხო და მხარდამჭერ პირობებში. „სსიპ ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის შესახებ“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით (N01-03/7) სკოლას შექმნილი აქვს მცირე სამუშაო ჯგუფი სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის და ორი ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კონსულტანტის შემადგენლობით.

სამუშაო ჯგუფმა მოამზადა სკოლის პირველადი SWOT ანალიზი, რომლის მიზანი იყო სკოლის შიდა და გარე გარემოს შეფასება, არსებული შესაძლებლობებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება. ვინაიდან სკოლა წარმოადგენს ახლად დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებას და არ გააჩნია ინსტიტუციური მონაცემები, ანალიზი დაფუძნდა პროგნოზირებად შეფასებებზე, ხელმისაწვდომ რესურსებზე, ადგილობრივი საგანმანათლებლო გარემოს ანალიზსა და ბაზრის/დემოგრაფიული საჭიროებების კვლევის შედეგებზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

როგორც აღვნიშნეთ, სკოლა ახლად დაარსებულია და ამ ეტაპზე ჯერ არ ჰყავს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები (მოსწავლეები, მშობლები), მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარება განიხილება როგორც სამომავლო, ეტაპობრივი პროცესი.

ვიზიტის დროს განხორციელდა შეხვედრა სამუშაო ჯგუფის წევრებთან. მათი ინფორმაციით, დაგეგმილია, რომ სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისა და შემდგომი დახვეწის პროცესში უზრუნველყოფილი იქნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობა უკუკავშირის მიღების მიზნით. აღნიშნული განხორციელდება სხვადასხვა ფორმით, მათ შორის:

- საინფორმაციო და საკონსულტაციო შეხვედრების (პირისპირ/ონლაინ) ორგანიზება;
- მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტის გაცნობა და განხილვა დაინტერესებულ მხარეებთან;
- დოკუმენტის გაზიარება ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით (ელფოსტა, ვებ-გვერდი, სოციალური ქსელები და სხვა);
- სასკოლო საზოგადოების წევრებისგან წინადადებებისა და რეკომენდაციების სისტემური მიღება;
- მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დოკუმენტის პერიოდული გადახედვა/ცვლილების შეტანა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლა გეგმავს, რომ მისია, ხედვა და ღირებულებები გახდეს საჯაროდ ხელმისაწვდომი, რაც უზრუნველყოფს როგორც სასკოლო საზოგადოების, ისე ფართო საზოგადოების ინფორმირებულობას. აღნიშნული პროცესი განხორციელდება წინასწარ განსაზღვრული მექანიზმების საფუძველზე, რომლებიც აისახება შესაბამის მეთოდოლოგიურ დოკუმენტში. დაგეგმილია, რომ მისიის, ხედვისა და ღირებულებების საჯარო ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი იქნება შემდეგი გზებით:

- სკოლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება;
- სკოლის სოციალურ ქსელებსა და სხვა ონლაინ პლატფორმებზე გაზიარება.
- სკოლის შენობაში, თვალსაჩინო ადგილზე განთავსება.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების შესაბამისად, სკოლის სახელწოდებაა „სსიპ - ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლა“. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანება N01-03/7 „სსიპ - ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“;
- სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული პირველადი SWOT ანალიზის მატრიცა და ბაზრის/დემოგრაფიული საჭიროებების კვლევის მოკლე ანგარიში;
- სკოლის დირექტორის ბრძანება N01-03/39 „საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“;
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ამსახველი ოქმი N1 (მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტის შემუშავების შესახებ);
- სკოლის დირექტორის ბრძანება N01-03/8 „სსიპ- ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების დამტკიცების შესახებ“.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სსიპ - ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი (სკოლის დირექტორის ბრძანება N01-03/39) აღწერს სტრატეგიული განვითარების და

სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხორციელების და შეფასების ზოგად მიდგომებს და მოთხოვნებს. დოკუმენტი მოიცავს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესთან დაკავშირებულ ძირითად პრინციპებს, სტრატეგიული განვითარების გეგმის სტრუქტურას, ინფორმაციის შეგროვებას და ანალიზს, მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების ეტაპებს, სამოქმედო გეგმის სტრუქტურას და ძირითად მოთხოვნებს, SWOT ანალიზს, შესრულების მონიტორინგს და ინფორმაციის გაზიარების მექანიზმებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის შესაძლებლობებისა და გარემოს შესწავლის (SWOT ანალიზი), მისიითა და ხედვით განსაზღვრული მიზნებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება/მოვალეობების განხორციელებისათვის სკოლას დაგეგმილი აქვს 2026-2033 წლებში იმუშაოს შემდეგი სტრატეგიული მიმართულებით:

- სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება;
- პერსონალის პროფესიული განვითარება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების განვითარება;
- უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;
- სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;
- ეფექტიანი მენეჯმენტი;
- ორგანიზაციული განვითარება.

სკოლის სტრატეგიული გეგმა ეფუძნება სკოლის მისიას და ხედვას. მოსწავლეთა პირველი კონტინგენტის მიღებისა და კოლეგიური ორგანოების არჩევის შემდგომ, გეგმა საბოლოოდ განიხილება და დამტკიცდება სამეურვეო საბჭოს მიერ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

ექსპერტებმა განიხილეს სკოლის 2026-2027 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც წარმოდგენილია სტრატეგიული მიზნების შესაბამისი ამოცანები და აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესაბამისი რესურსები და დასახული მიზნების რეალიზების ვადები. სამოქმედო გეგმა ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას. სკოლის დირექცია ფლობს თეორიულ თუ პრაქტიკულ ცოდნას აღნიშნულის უზრუნველსაყოფად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სსიპ - ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში (2026-2027 წლები) ასახულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესაბამისი რესურსები (ადამიანური, მატერიალური, ფინანსური) და დასახული მიზნების რეალიზების ვადები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ- ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
- სსიპ- ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ამსახველი ოქმი N1(მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტის შემუშავების შესახებ;)
- სკოლის დირექტორის ბრძანება N01-03/9 - „სსიპ- ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო და შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ“.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

დირექტორის ბრძანებით (N01-03/39) დამტკიცებული სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. როგორც აღნიშნული დოკუმენტიდან ირკვევა (პუნქტი 11), მონიტორინგს და შეფასებას არჩევის შემდგომ განახორციელებს სამეურვეო საბჭო. სამეურვეო საბჭოს სხდომაზე შესაბამისი პირების ჩართულობით თითოეულ აქტივობას მიენიჭება სამიდან ერთი სტატუსი: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“.**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება ჯერ განხორციელებული არ არის, თუმცა შესაბამისი მეთოდოლოგია ითვალისწინებს პროცესებში სასკოლო საზოგადოების და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეებისაგან მიღებული უკუკავშირის გამოყენებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლა ახლადდაფუძნებული იურიდიული პირია, შესაბამისად, ამ ეტაპზე, სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელება ვერ შეფასდება. **ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლა ახლადდაფუძნებული იურიდიული პირია, შესაბამისად ამ ეტაპზე სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმები ვერ იქნება შესრულებული. **ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანება N01-03/39 „საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“.
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ამსახველი ოქმი N1(მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტის შემუშავების შესახებ).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სსიპ ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლას განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებული აქვს საშტატო განრიგი, რომლითაც განსაზღვრულია სკოლაში დასაქმებულ პირთა თანამდებობები და რაოდენობა. სკოლის სტრუქტურა დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N01-03/65, 10.08.2026წ. სკოლის თითოეულ თანამშრომელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, სადაც მკაფიოდაა განსაზღვრული დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობები. შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სხვა თანამშრომლებთან. აღსანიშნავია, რომ მასწავლებლების შემთხვევაში, ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღად მითითებულია სკოლის მიერ ავტორიზაციის მოპოვება. დაწესებულებას შედგენილი და დამტკიცებული აქვს ,,სსიპ ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი“ (N01-03/63, 10.07.2026წ.), სადაც გაწერილია თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის სტრუქტურული ერთეულები და პერსონალი შერჩეულია სკოლის საჭიროებებიდან გამომდინარე. ფუნქცია-მოვალეობების სწორი და ზუსტი განაწილება უზრუნველყოფს დაწესებულების ეფექტიან ფუნქციონირებას. სკოლის სტრუქტურული ერთეულები ხელს შეუწყობენ სწავლა-სწავლების პროცესის კანონით დადგენილი წესით წარმართვას. სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პირები კარგად იცნობენ საკუთარ ფუნქციებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებული საშტატო განრიგი;
- სკოლის სტრუქტურა დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით N01-03/65, 10.08.2026წ.
- ,,სსიპ ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი“ (N01-03/63, 10.07.2026წ.);
- შრომითი ხელშეკრულებები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით ,,სსიპ ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ (ბრძანება N01-03/19, 05.06.2026წ.). ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიზანია სკოლაში შესაბამისი პროცედურების და პოლიტიკის დანერგვა, რაც დადებითად აისახება როგორც სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე, ასევე, სკოლის ორგანიზაციულ განვითარებაზე. შესაბამისად, პერსონალის მართვის პროცესები განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. სკოლის შინაგანაწესის გაცნობა სავალდებულოა სკოლის ყველა თანამშრომლისთვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

როგორც უკვე აღინიშნა, ,,სსიპ ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, განსაზღვრავს დაწესებულებაში დასაქმებული პირების/სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია მოვალეობებს. სკოლას

შედგენილი აქვს და დირექტორის N01-03/71, 17.07.2026წ. ბრძანებით დამტკიცებული ,,სსიპ ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლის თანამშრომლების ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, შესაბამისად, დაწესებულების მიერ შერჩეული პერსონალის მართვასთან დაკავშირებული პროცესები პროგნოზირებადია. სკოლის შინაგანაწესი და თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, ასევე, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი უზრუნველყოფს საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის ინტერვენციებს, რაც პერსონალის მართვის პროცესში იჩენს თავს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლას შემუშავებული აქვს დაწესებულებაში დასაქმებული პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და შესაბამისად, პერსონალის შერჩევის დროს პროცესები ორგანიზებული და გამჭვირვალეა. სკოლის მასწავლებლების შერჩევისას დაწესებულება ხელმძღვანელობს ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული“ მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ მიხედვით. ხოლო, სხვა თანამშრომლების შერჩევა ხორციელდება სკოლის მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად. დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს მასწავლებლის შერჩევის (მუხლი 14), კონკურსის გამოცხადების (მუხლი 15), კომისიის შექმნისა და საქმიანობის წესებს (მუხლი 16). ვიზიტის დროს ექსპერტებმა განიხილეს საკონკურსო მასალა და დაადგინეს შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან. გარდა ამისა, შეისწავლეს პერსონალის პირადი საქმეები, რომლებიც სხვა დოკუმენტაციასთან ერთად, შეიცავდა კანონით დადგენილ ცნობებს.

<u>ვიზიტის პერიოდში, დაწესებულებას არ ჰყავდა შერჩეული დარაჯი, ექიმი, ბიბლიოთეკარი და საინფორმაციო მენეჯერი. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.1.2.3 ინდიკატორთან დაკავირებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებული აქვს 10.09.2026წ. რეკომენდაცია - დაწესებულებამ უზრუნველყოს დარაჯის, ექიმის, ბიბლიოთეკარის და საინფორმაციო მენეჯერის დასაქმება სკოლაში.</u>

ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

შესარჩევი კონკურსების დოკუმენტაციის და სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეების შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ კანდიდატები აკმაყოფილებენ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ვიზიტის დროს, ექსპერტებმა დაათვალიერეს დაწესებულების Eschool - ის ბაზა. როგორც გაირკვა, სკოლის მასწავლებლებს მინიჭებული აქვთ შესაბამისი სტატუსები, ან, მიენიჭებათ სკოლის ავტორიზაციის გავლის შემდეგ, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. რაც შეეხება სკოლის სხვა თანამშრომლებს, მათი პირადი საქმეების, ასევე, დაწესებულების მიერ შედგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების განხილვის საფუძველზე, დადგინდა, რომ მათი კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლაში პერსონალის მართვა დაეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. აღნიშნულზე მეტყველებს სკოლის მიერ შემუშავებული მექანიზმები, შედგენილი დოკუმენტაცია და ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუ. დაწესებულებაში გადაწყვეტილების მიღება ერთპიროვნულად არ განხორციელდება - პროცესები შეჯერებული იქნება, სასკოლო საზოგადოების ინტერესები, გათვალისწინებული. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებული იქნება სკოლის დირექციის მიერ. ინტერვიუირებისას დაწესებულების მართვის გუნდმა აღნიშნა, რომ ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების და პოპულარიზაციის მიზნით, სკოლაში განხორციელდება თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო ღონისძიებები. დირექცია რეგულარულად განიხილავს ადამიანური რესურსების მართვის მეთოდების ეფექტიანობას და დასაქმებულთა მოტივაციის გაზრდის მიზნით დაგეგმავს სხვადასხვა წამახალისებელი ღონისძიებებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ,,სსიპ ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ (ბრძანება N01-03/19, 05.06.2026წ.);
- ,,სსიპ ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლის თანამშრომლების ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, ბრძანება N01-03/71, 17.07.2026წ.;

- შრომის შინაგანაწესი;
- საკონკურსო დოკუმენტაცია;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- Eschool - ის ბაზა;
- შრომითი ხელშეკრულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია თანამშრომელთა საჭიროებების დადგენის მექანიზმები და შესაბამისი ინტერვენციები. დაწესებულებას წარმოადგენილი აქვს 2026-2027 სასწავლო წლის სკოლის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების წლიური სამუშაო გეგმის საპროექტო ჩარჩო, რომელიც განსაზღვრავს სკოლის მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების, პროფესიული კომპეტენციების გაძლიერებისა და სკოლის ერთიანი კულტურის ჩამოყალიბების წესსა და პირობებს. დაგეგმილია სკოლაში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების განხორციელება შემდეგი ძირითადი ფორმებით - ფორმალური განვითარება, რომელიც მოიცავს ტრენინგებს, სემინარებს,

ვებინარებს, საუნივერსიტეტო კურსებს, კონფერენციებზე დასწრება/მონაწილეობას და სკოლის ბაზაზე განვითარებას, რომელიც განხორციელდება შიდა სასკოლო მექანიზმების ამოქმედებით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით მოთხოვნებს.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

როგორც უკვე აღინიშნა, ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მიერ შედგენილი სსიპ ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების 2026-2027 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, სადაც გამოკვეთილია მასწავლებლის შესაძლო საჭიროებები და მითითებულია ის მიზნობრივი აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს პედაგოგთა გაძლიერებას სხვადასხვა მიმართულებით, ასევე მითითებულია დროის რა პერიოდში უნდა განხორციელდეს მათი მხარდაჭერა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სსიპ ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ (ბრძანება N01-03/19, 05.06.2026წ.) განსაზღვრავს კარიერული განვითარების შესაძლებლობებს, მხარდაჭერის ფორმებსა და შესაბამის მექანიზმებს. პროფესიული განვითარების 2026-2027 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია ამოცანები, რომელთა მიზანია სკოლაში პერსონალის ეფექტიანი მართვის პოლიტიკის უზრუნველყოფა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. ზემოაღნიშნული მიიღწევა შემდეგი აქტივობების განხორციელების საფუძველზე: სწავლების თანამედროვე მეთოდები/შეფასების ინსტრუმენტების ეფექტიანი გამოყენება, გამოცდილების გაზიარება და კოლეგიალური მხარდაჭერა, ციფრული კომპეტენციების განვითარება და სასწავლო პროცესში ინტეგრირება. ექსპერტებმა განიხილეს აღნიშნული დოკუმენტაცია და დარწმუნდნენ, რომ დაგეგმილი პროცესები უზრუნველყოფს პროფესიულ განვითარებას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს პერსონალის კარიერულ წინსვლას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სსიპ ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს თანამშრომლების ადაპტაციისთვის განსახორციელებელი აქტოვობების ნუსხას. წესში დეტალურად არის გაწერილი ის ნაბიჯები, რომლებიც უნდა გადადგას დაწესებულებამ, რათა ახალმა თანამშრომელმა მაქსიმალურად კომფორტულად იგრძნოს თავი. ვიზიტის დროს, ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ გასაუბრებოდნენ სკოლის თანამშრომლებს, რომლებმაც აღნიშნეს, რომ დირექცია გამოხატავს მხარდაჭერას და კეთილგანწყობას მათ მიმართ. სკოლაში დასაქმებული პირებისთვის ხელმისაწვდომი იქნება პროფესიული და ორგანიზაციული დახმარება, რაც ხელს შეუწყობს ახალი თანამშრომლების ეფექტიან ინტეგრაციას

სასკოლო გარემოსთან, სამუშაო პროცესებთან და დაწესებულების ღირებულებებთან. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლის შინაგანაწესი, ასევე, სკოლის მიერ შედგენილი დოკუმენტი - ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა" - არეგულირებს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ასპექტებს, რაც თანამშრომელთა წახალისების საფუძველი შეიძლება გახდეს. ვინაიდან თანამშრომელთა წახალისება დადებითად აისახება მათ შემდგომ საქმიანობაზე, სკოლა შექმნის გარემოს, სადაც მათ საშუალება ექნებათ განავითარონ საკუთარი ცოდნა, უნარები და პროფესიული კომპეტენციები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2026-2027 სასწავლო წლის სკოლის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების წლიური სამუშაო გეგმის საპროექტო ჩარჩო;
- სსიპ ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა" (ბრძანება N01-03/19, 05.06.2026წ.);
- შრომის შინაგანაწესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

დაწესებულებას შედგენილი და დამტკიცებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, დოკუმენტის პროექტი, სახელწოდებით სსიპ ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება (დირექტორის ბრძანება N01-03/31, 05.06.2026წ.). როგორც ირკვევა, დაწესებულებაში უზრუნველყოფილი იქნება სასწავლო პროგრამების განხორციელების შეფასება და შემდგომი გაუმჯობესება, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. სკოლის პრიორიტეტების რიცხვში იქნება თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების დადგენა და მხარდაჭერა, ხარისხის ზრდისთვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა/გაანალიზება და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი პროცესებიდან ერთ-ერთი დაწესებულების მხრიდან სწავლა სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა იქნება. აღნიშნული დასტურდება სკოლის მიერ შედგენილი დოკუმენტაციის განხილვის და ინტერვიუირების საფუძველზე. ძირითადი პროცესები - კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა, ასევე, განხორციელდება სკოლაში. დამხმარე პროცესები - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, საბიბლიოთეკო მომსახურება, საქმისწარმოება და ა.შ. უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი კადრებით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სსიპ ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების რეგულირების წესი, რომლის თანახმად, დისციპლინური გადაცდომების განხილვაზე უფლებამოსილია დისციპლინური კომიტეტი. დოკუმენტი აღწერს დისციპლინური წარმოების დაწყების (მუხლი 5), საქმის გარემოებათა გამოკვლევის (მუხლი 6), დისციპლინური კომიტეტის სხდომის მიმდინარეობის (მუხლი 8), დისციპლინური კომიტეტის მიერ გადაწყვეტილების მიღების (მუხლი 12) საკითხებს. სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომების გამოვლენას და პასუხისმგებლობის საკითხებს. დაწესებულებამ წარმოადგინა დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმის ნიმუშებიც. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

როგორც უკვე აღინიშნა, ვინაიდან, დაწესებულებას შედგენილი აქვს საჩივრების განხილვის მექანიზმი და ასევე ვალდებულება, რომ ზემოაღნიშნული წესის შესახებ მიაწოდოს ინფორმაცია ყველა დაინტერესებულ პირს (შინაგანაწესის გაცნობა), მეტყველებს იმაზე, რომ სსიპ ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლაში განხორციელდება პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა. სასკოლო საზოგადოება ინფორმირებული იქნება საკუთარი უფლებების შესახებ. ერთის მხრივ, ეს ასახულია შესაბამის ხელშეკრულებებში (სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები), ასევე, სკოლის მიერ შედგენილ დოკუმენტაციაში. მოსწავლის მშობელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუშიც ამის ნათელი მაგალითია. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება (დირექტორის ბრძანება N01-03/31, 05.06.2026წ.);
- სსიპ ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების რეგულირების წესი;
- შრომის შინაგანაწესი;
- სკოლის თანამშრომლებთან და მშრობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ნიმუშები

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

დაწესებულება გეგმავს უზრუნველყოს სწავლა-სწავლების პროცესში სასკოლო საზოგადოების და ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობა. კერძოდ, მშობლები, სკოლის თანამშრომლები და მოსწავლეები გაიცნობენ სკოლის პოლიტიკის და მართვის დოკუმენტებს, სასკოლო სასწავლო გეგმას, ინფორმაციას შეფასების სისტემის შესახებ - დაწესებულება უზრუნველყოფს მათთვის შინაგანაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმის და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტების მიწოდებას. კლასის დამრიგებლები აქტიურად ჩაერთვებიან კომუნიკაციის პროცესში. გარდა ამისა, სკოლის ვერ. გვერდი (პორტალი), სოციალური ქსელი, ელექტრონული ჟურნალი და კომუნიკაციის სხვა საშუალებები უზრუნველყოფს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას. მიღებულ უკუკავშირზე დაიგეგმება ინტერვენციები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

ავტორიზაციის მინიჭების შემდეგ, სსიპ ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლაში ფუნქციონირებას დაიწყებენ სტრუქტურული ერთეულები: პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო. თითოეულის ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში მიზნობრივი და კანონმდებლობით განსაზღვრულია. სკოლის სამეურვეო საბჭოში და დისციპლინურ კომიტეტში პედაგოგებთან ერთად მშობლები და საშუალო საფეხურის მოსწავლეები იქნებიან წარმოდგენილები. მოსწავლეთა თვითმმართველობა არჩევითი ორგანოა, რომელიც ასევე მონაწილეობას მიიღებს სასკოლო ცხოვრებაში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შრომის შინაგანაწესი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სსიპ ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლის როგორც შიდა, ისე გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია სათვალთვალო კამერები, შემდგომში, დაწესებულებაში დაკომპლექტდება მრჩეველთა საბჭო, რომლის პირდაპირი დანიშნულება იქნება სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხების განხილვა და სკოლის დირექტორისათვის შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდება. <u>სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და ექსპერტთა მხრიდან გაიცა რჩევა, აღნიშნული კადრის სკოლაში დასაქმების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით (რჩევა). დაწესებულებას არ აქვს შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. საჯარო სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1.1. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის საბოლოო ვადად მითითებულია 15.06.2027 პერიოდი. რეკომენდაცია - დაწესებულებამ</u>

<u>უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში.</u>

სკოლას არ აქვს მიღებული დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. მიმდინარე წლის 17 ივლისს, ვიზიტის მიმდინარეობისას, დაწესებულებამ წერილით MES 8 26 0000941911 მიმართა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის თაობაზე.

ასევე, სსიპ ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლას არ ჰქონდა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1.1. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის საბოლოო ვადად მითითებულია 15.06.2027წ. პერიოდი. რეკომენდაცია - დაწესებულებამ უზრუნველყოს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება.

<u>ვიზიტის პერიოდში სკოლის შენობა ღობით სრულად არ იყო შემოსაზღვრული, მიმდინარეობდა რკინის ღობის მოწყობის სამუშაოები. შესაბამისად, უსაფრთხოების ნორმები ვერ იქნებოდა დაცული.</u> გარდა ამისა, ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე დადგინდა, რომ არსებულ ღობეს ერთ მხარეს ემიჯნებოდა შენობა, რომელიც ავარიულ მდგომარეობაშია და ვერ აკმაყოფილებდა უსაფრთხოებისა და ექსპლუატაციისათვის აუცილებელ მოთხოვნებს. მისი ტექნიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, საჭირო გახდა შესაბამისი სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება. როგორც დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, იგეგმება კონსტრუქციაზე ლითონის ბადის დამაგრება (მიმაგრება), რაც უზრუნველყოფს ღობის მდგრადობას.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1.1. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის საბოლოო ვადად მითითებულია 15.09.2026წ. პერიოდი. რეკომენდაცია - დაწესებულებამ უზრუნველყოს ღობის მოწყობის სამუშაოების დასრულება და მომიჯნავე შენობაზე რკინის ბადის დამაგრება შესაბამისობის გეგმით მითითებულ ვადაში. ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

ვიზიტის პერიოდში სკოლის სამედიცინო კაბინეტი არ იყო მოწყობილი, თუმცა, დაწესებულების ადმინისტრაციამ წარმოადგინა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N12, 27.05.2026წ. (MES 0 26 0000625310), რომლის თანახმად,

სსიპ ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლას გადაეცემა სამედიცინო აღჭურვილობა. ექსპერტებმა დაათვალიერეს სამედიცინო კაბინეტისათვის განკუთვნილი სივრცე, რომელშიც დამონტაჟებული იყო ონკანი. სკოლას შემუშავებული აქვს სამედიცინო დახმარების წესი (დირექტორის ბრძანება N 01-03/32, 05.06.2026წ. **რაც შეეხება ექიმის დასაქმებას, შესაბამისობის გეგმით (ინდიკატორი 3.1.2.3), დაწესებულებამ განსაზღვრა სკოლაში ექიმის დასაქმების პერიოდი. კერძოდ, დაწესებულებას შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებული აქვს 10.09.2026წ. რეკომენდაცია - დაწესებულებამ უზრუნველყოს ექიმის დასაქმება სკოლაში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ ბრძანების №41/ნ/01-23/, 21.03.2022წ. საფუძველზე, სასურველია (რჩევა), მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობიდან გამომდინარე (1400), სკოლაში დასაქმდეს მეორე ექიმიც. ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სსიპ ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლა იხელმძღვანელებს 2019 წლის 29 იანვრის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ №06/ნ ბრძანებით, რომელიც განსაზღვრავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელ პრევენციულ და უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელ ღონისძიებებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლის დირექციასთან და პედაგოგებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ კლასის დამრიგებლები, სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგები უზრუნველყოფენ გამოკვეთილ სირთულეებზე რეაგირებას და მოსწავლეთათვის მხარდაჭერის შეთავაზებას. დაწესებულება უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის ისეთი პრევენციული ხასიათის აქტივობების შეთავაზებას, რომლებიც მოსწავლეთა მიმართ ძალადობას, ჩაგვრას, უფლებათა დაცვას ეხმიანება. ვიზიტის დროს დირექციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ იგეგმება სკოლაში საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის სოციალური მუშაკების დასაქმება, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეების, მათი მშობლებისა და სკოლის პერსონალის მხარდაჭერას, ქცევითი და ემოციური სირთულეების მართვას, მულტიდისციპლინურ საქმეთა წარმოებას და სასკოლო კლიმატის გაჯანსაღებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლაში დასაქმებული ტექნიკური პერსონალი უზრუნველყოფს სკოლის მთელი პერიმეტრის, მათ შორის, სველი წერტილების სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლის ტექნიკური პერსონალის (დამლაგებელი) ხელშეკრულება დეტალურად აღწერს იმ ფუნქციებს, რომელიც უზრუნველყოფს სისუფთავის დაცვას სკოლის შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე. სკოლის დირექტორის ბრძანებით N01-03/28, 05.06.2026წ. დამტკიცეუბლია სკოლის ტერიტორიის, შენობისა და სველი წერტილების დასუფთავებისა და დეზინფექციის გრაფიკი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სსიპ ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესებსა და პროცედურებს, უზრუნველყოფს მათი დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვას. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანო ბათუმის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის ბრძანებით (MES 4 26 0000677858, 05/06/2026წ.) განსაზღვრულია ის თანამშრომელი, რომელიც სსიპ ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლაში უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციების განხორციელებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

როგორც უკვე აღინიშნა, დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები, რომელიც არეგულირებს მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებს. სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა ელექტრონულ პლატფორმაზე (Eschool) უზრუნველყოფს ელექტრონული ინფორმაციის დაცვას არაავტორიზებული წვდომისგან. სკოლის ელექტრონულ ჟურნალშიც მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემებზე, ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით წვდომა ექნებათ: სკოლის დირექციას, დამრიგებელს, საგნის მასწავლებლებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

ავტორიზაციის მინიჭების შემდეგ, დაწესებულება იხელმძღვანელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესაბამისად.,, და ბრძანებით დადგენილი წესით განხორციელებს ადამიანებისა თუ პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის წერილი MES 8 26 0000941911, 17.07.2026წ. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის თაობაზე;
- ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N12, 27.05.2026წ. (MES 0 26 0000625310);
- სამედიცინო დახმარების წესი (დირექტორის ბრძანება N 01-03/32, 05.06.2026წ.
- სკოლის დირექტორის ბრძანებთ N01-03/28, 05.06.2026წ. დამტკიცეუბლი სკოლის ტერიტორიის, შენობისა და სველი წერტილების დასუფთავებისა და დეზინფექციის გრაფიკი;
- აქვს სსიპ ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

<u>დაწესებულებამ წარმოადგინა საჯარო რეესტრის ამონაწერი, რომელიც არ ასახავს სსიპ ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლის მიერ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის სარგებლობის უფლებას. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.5.1.1. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებული აქვს - 27.07.2027წ. რეკომენდაცია - დაწესებულებამ უზრუნველყოს საჯარო რეესტრის ამონაწერის მოპოვება შესაბამისობის გეგმით მითითებულ ვადაში.</u>

სსიპ ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლა მდებარეობს ქალაქ ბათუმში, დემეტრე თავდადებულის ქ. N61 - ში. სკოლის შენობა სამ სართულიანია და აქვს ნულოვანი სართულიც. სკოლის მარჯვენა და მარცხენა ფლიგელი დაკავშირებულია დერეფნით. დაწესებულებაში 24 საკალასო ოთახია, 3 ლაბორატორიისთვის (2 საბუნებისმეტყველო და ერთი კომპიუტერული ტექნოლოგიების) განკუთვნილი ფართი. ყველა სართულზე განთავსებული სველი წერტილები როგორც გოგონებისთვის, ასევე ვაჟებისთვის. ადაპტირებული სველი წერტილიც ყველა სართულზე გხვდება. დაწესებულებაში არის ფართი გამოყოფილი რესურსოთახისთვის, ბიბლიოთეკისთვის, ექიმის კაბინეტისთვის, სასადილოსთვის. მოწყობილია სპორტული ინფრასტრუქტურაც - გარე და შიდა სპორტული დარბაზები გასახდელებით. გამოყოფილია და ფუნქციურია სივრცეები სააქტო დარბაზის და ადმინისტრაციისთვის. ვიზიტის პერიოდში, საკლასო ოთახებში განთავსებული იყო მერხები, სკამები და სხვა სასკოლო ინვენტარი. **ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

დაწესებულებას შედგენილი და სსიპ ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 05 ივნისის N01-03/27 ბრძანებით დამტკიცებული აქვს სასკოლო რესურსებით სარგებლობის დებულება. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის ახალ რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურა, ლაბორატორიები, სპორტული და სააქტო დარბაზები უზრუნველყოფს სასკოლო

საზოგადოების თანაბარ წვდომას და სივრცეების ფუნქციურ გამოყენებას. მატერიალური რესურსები განთავსებული იქნება მოსწავლისა და პედაგოგისათვის ადვილად მისაწვდომ ადგილას, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ მიმდინარეობას. სკოლის ბიბლიოთეკა ღია იქნება სასწავლო პერიოდის განმავლობაში. ყველა კლასი უზრუნველყოფილი იქნება ბაზისური სასწავლო ინვენტარით; სპორტული დარბაზი და კომპიუტერული ლაბორატორია გამოიყენება საჭიროების შესაბამისად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

ვიზიტის დროს სრულად არ იყო მოწყობილი ბიბლიოთეკა. მნიშვნელოვანია, დაწესებულებამ განახორციელოს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით და დამხმარე ლიტერატურით ბიბლიოთეკის აღჭურვა, საინვენტარიზაციო წიგნის ფორმირება და ბიბლიოთეკით სარგებლობის გრაფიკის დამტკიცება შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში (3.5.1.1. ინდიკატორთან მიმართებით). რეკომენდაცია - დაწესებულებამ უზრუნველყოს საბიბლიოთეკო სივრცეების მოწყობა შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილ ვადაში, არაუგვიანეს 27.07.2027წ. ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის შესასვლელში არის პანდუსი. დაწესებულების შენობა აღჭურვილია ლიფტით - საქმეშია ლიფტის ინსპექტირების სერტიფიკატი N1459-24, 13.12.2024წ. როგორც უკვე აღინიშნა, სსსმ მოსწავლეებისათვის დაწესებულების სრული ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის მიზნით, ყველა სართულზე ადაპტირებულია სველი წერტილები. სკოლის რესურსოთახისთვის გამოყოფილია შესაბამისი ფართი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა შეუწყობს ხელს სკოლის, როგორც სოციო-კულტურული ცენტრის ჩამოყალიბებას. სასწავლო შენობა და მასში არსებული სივრცეები —საგნობრივი კაბინეტები, სპორტული და საბიბლიოთეკო სივრცეები — მიზანმიმართულად გამოიყენება კულტურული ღონისძიებების, საგანმანათლებლო პროექტებისა და არაფორმალური აქტივობებისთვის. სკოლა ხელს შეუწყობს მოსწავლეთა თვითგამოხატვასა და შემოქმედებით ჩართულობას, რაც განხორციელდება როგორც შიდა, ასევე საზოგადოებაზე ორიენტირებული ღონისძიებებით. დაწესებულების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ინკლუზიურობას, მრავალფუნქციურ და უსაფრთხო გარემოს, რაც გააძლიერებს სკოლის როლს ადგილობრივი საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საჯარო რეესტრის ამონაწერი;
- ლიფტის ინსპექტირების სერტიფიკატი N1459-24, 13.12.2024წ.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მო.ნიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები
3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სასწავლო დაწესებულება სრულად უზრუნველყოფილია თანამედროვე ტექნოლოგიური რესურსებით. სკოლამ წარმოადგინა მიღება-ჩაბარების აქტები და გარკვეული კორესპონდენცია, რომლითაც დასტურდება კომპიუტერული ტექნიკის ფლობა/მოთხოვნა. კერძოდ, 2026 წლის 18 მაისს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების და სპორტის სამინისტროსთან, საიდანაც დასტურდება დაწესებულებისთვის 35 (ოცდათხუთმეტი) ცალი პორტატული კომპიუტერის (ლეპტოპი) გადაცემა. ასევე, მიღება-ჩაბარების აქტი 15 (თხუთმეტი) პროექტორის გადაცემაზე. ტექნოლოგიებით გამოყენებით ჩატარებული გაკვეთილები გაზრდის მოსწავლეთა ჩართულობას, გაამარტივებს რთული

თემების აღქმას და ხელს შეუწყობს ინტერაქტიურ სწავლების პროცესის წარმართვას. როგორც ბათუმის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წერილიდან MES 3 26 0000478722, 24/04/2026წ. ირკვევა, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს შპს საგანმანათლებლო რესურსების დირექტორს რესურსცენტრმა მიმართა შუამდგომლობით სკოლისათვის 5 (ხუთი) პრინტერის გადმოცემის თაობაზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სსიპ ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო რესურსებით სარგებლობის დებულება (დირექტორის ბრძანება N01-03/27, 05.06.2026წ.), რომელიც განსაზღვრავს დაწესებულებაში ელექტრონული რესურსებით სარგებლობის წესს. სკოლაში კომპიუტერული ტექნიკა განთავსებული იქნება არა მხოლოდ ლაბორატორიაში, არამედ, ბიბლიოთეკაში, ადმინისტრაციის ოთახებში, სამასწავლებლოში - პორტატული კომპიუტერებიც ხელმისაწვდომი იქნება და გამოიყენება საჭიროებისამებრ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მიღება-ჩაბარების აქტები და შესაბამისი კორესპონდენცია;
- სასკოლო რესურსებით სარგებლობის დებულება (დირექტორის ბრძანება N01-03/27, 05.06.2026წ.).

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სსიპ ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 05 ივნისის N01-03/29 ბრძანებით დამტკიცებულია საქმისწარმოების ინსტრუქცია, რომელიც შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით და ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობით საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად.

ექსპერტებმა ვიზიტის დროს დაათვალიერეს სკოლის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა (eflow) და დარწმუნდნენ, რომ დოკუმენტაციის დამუშავების პროცედურები დადგენილი წესის შესაბამისად მიმდინარეობს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

როგორც უკვე აღინიშნა, დაწესებულებაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული საქმისწარმოების ავტომატიზირებული სისტემის გამოყენების საშუალებით, პროგრამის -,,eflow"-ის მეშვეობით. სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტა: batumi21@mes.gov.ge – კომუნიკაციის ეფექტური საშუალებაა. სკოლას აქვს ვებ. გვერდი: https://skolebi.emis.ge/. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტებმა განიხილეს სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. როგორც გაირკვა, სკოლას სრულყოფილად აქვს შევსებული ყველა ველი. მითითებულია ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ, შეტანილი აქვთ სკოლის პერსონალის მონაცემები. ავტორიზაციის მინიჭების შემდგომ, დაწესებულება უზრუნველყოფს მოსწავლეების, მათი კანონიერი წარმომადგენლების პერსონალური მონაცემები შეტანას, ასევე, ინფორმაციას სახელმძღვანელოების და სხვა საკითხების შესახებ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

დაწესებულება უზრუნველყოფს ანგარიშების წარდგენას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან საგანმანათლებლო რესურსცენტრის გავლით. სკოლა უზრუნველყოფს კომუნიკაციას საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროსთან, ასევე, დ დაქვემდებარებაში მყოფ სსიპ-ებთან შესაბამისი ნებართვების მოპოვებისა და საჭიროების შემთხვევაში, გარკვეული საკითხების შესათანხმებლად. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე ანგარიში წარედგინება პარლამენტს, პრეზიდენტს და პრემიერ მინისტრს. სკოლის ფინანსური დოკუმენტაცია (სკოლის ბალანსი) ასევე, კანონით დადგენილ ვადებში და წესით, წარედგინება საგანმანათლებლო რესურსცენტრს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 05 ივნისის N01-03/29 ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების ინსტრუქცია;
- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შესაბამისი ველები.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს ვებ. გვერდი: https://skolebi.emis.ge/ და მასზე განთავსებული დოკუმენტაცია შემდგომში უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების ინფორმირებას. დაწესებულება გეგმავს აქტიურობას სოციალურ ქსელშიც - სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია, სასკოლო ღონისძიებების ამსახველი მასალა (ფოტოები და ვიდეოები შესაბამისი თანხმობის დაცვით), სასკოლო პროექტებისა და აქტივობების შესახებ ინფორმაცია განთავსდება სკოლის სოციალური ქსელში და გამოყენებული იქნება სკოლის საქმიანობისა და საზოგადოების ინფორმირებისათვის. თუმცა, ვიზიტის დროს **სკოლის ვებ. გვერდზე არ იყო განთავსებული ინფორმაცია, რომელიც უზრუნველყოფდა საზოგადოების ინფორმირებას. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.6.3.5 ინდიკატორთან დაკავშირებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 15.06.2027წ. აღნიშნული გეგმა რელევანტურია 3.6.3.1 ინდიკატორთან მიმართებითაც - რეკომენდაცია - დაწესებულებამ უზრუნველყოს საზოგადოების ინფორმირება და კომუნიკაცია ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით შესაბამისობის გეგმით მითითებულ ვადაში. ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას, კერძოდ, სკოლის მიერ დამტკიცებული და ოფიციალური სტატუსის

მქონე დოკუმენტების გაზიარება სასკოლო საზოგადოებისთვის განხორციელდება სკოლის ვებ. გვერდის და კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მიზნით სკოლა ჩაატარებს სხვადასხვა სახის კვლევას, და შედეგებს გაითვალისწინებს საქმიანობის დაგეგმვისას. სკოლას აქვს მზაობა განახორციელოს სასკოლო საზოგადოების ანონიმური გამოკითხვა და სკოლის ადმინისტრაციის ინდივიდუალური შეხვედრების პრაქტიკა გამოიყენოს სკოლის განვითარებისთვის. ექსპერტებმა განიხილეს დაწესებულების მიერ შედგენილი კითხვარების ნიმუშები, რომლებიც შემდგომში გამოიყენება საკუთარი საქმიანობის გაუმჯობესებისათვის. მაგალითად, პერსონალის პროფესიული საჭიროებების კვლევის კითხვარი (საჭიროებათა ანალიზის ინსტრუმენტი), სკოლის თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევა ასახავს სასკოლო საზოგადოების პროფესიულ საჭიროებებს, მათ დამოკიდებულებას დაწესებულებაში მიმდინარე პროცესებისადმი. სკოლას შედგენილი აქვს მშობლებთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია, დირექტორის ბრძანება N01-03/25, 05.06.2026წ.), რომელიც დაარეგულირებს მშობელსა და სკოლას შორის არსებული ურთიერთობების ძირითად ასპექტებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ვებ. გვერდი, ელექტრონულ პლატფორმაზე: https://skolebi.emis.ge/ და მასზე განთავსდება ინფორმაცია ქართულ ენაზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

<u>ვიზიტის პერიოდში, სსიპ ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლის ვებ. გვერდი არ იყო ინფორმატიული. მასზე არ იყო განთავსებული სტანდარტით დადგენილი დოკუმენტაცია. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.6.3.5 ინდიკატორთან</u>

<u>დაკავშირებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 15.06.2027წ. - დაწესებულებამ უზრუნველყოს ვებ გვერდზე სკოლის შესახებ ინფორმაციის განთავსება, კერძოდ - მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. *ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.*</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობლებთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია, დირექტორის ბრძანება N01-03/25, 05.06.2026წ.);
- კითხვარები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლა უზრუნველყოფილი იქნება ფინანსური რესურსით. სკოლის დაფინანსების ძირითად წყაროდ განიხილება ვაუჩერული დაფინანსება. სკოლის დირექტორის მიერ თანხების განკარგვისას გათვალისწინებული იქნება დაწესებულების სავარაუდო შემოსავლები, მომდევნო წლის პრიორიტეტები - სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული, სავარაუდო ხარჯები, ასევე, საბიუჯეტო პოლიტიკა და კალენდარი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

დაწესებულებას აქვს ფინანსური რესურსების მართვის სისტემა, რაზეც მეტყველებს სკოლის დირექტორის ბრძანებით N01-03/12, 28.05.2026წ. დამტკიცებული წესი ფინანსური რესურსების მართვის, განკარგვის და მონიტორინგის შესახებ. სკოლის ფინანსურ საქმიანობას აკონტროლებს სკოლის ბუღალტერი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანებით N01-03/12, 28.05.2026წ, დამტკიცებული წესი ფინანსური რესურსცების მართვის, განკარგვის და მონიტორინგის შესახებ;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა
4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლის შიდა რეგულაციებით განხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა. მოსწავლეების უფლებებთან და კანონიერ ინტერესებთან დაკავშირებული პროცედურები გაწერილია სასწავლო გეგმაში და შინაგანაწესში. სკოლის შინაგანაწესი ცალკე მუხლებად გამოყოფს: მუხლი 11 - მოსწავლის წახალისების ფორმებსა და გამოყენების წესს, მუხლი 17. - მოსწავლის დისციპლინური გადაცდომების და პასუხისმგებლობის სახეებს. მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულებაც მოიცავს სკოლის ვალდებულებებს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის მიმართულებით. 2026-2027 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის ერთ-ერთი თავია მოსწავლეთა აღზრდისა და მხარდაჭერის სისტემები, რომელიც არეგულირებს ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის მიზნით, ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში, სკოლის ეფექტური და სწრაფი რეაგირების მექანიზმებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

ვინაიდან სკოლა ახალი დაფუძნებულია, ვერ იქნება უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები სასკოლო საზოგადოებასთან გაზიარებული, თუმცა სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს გააცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. ასევე მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულების მე-8 მუხლი ეხება შინაგანაწესის გაცნობას, რომელიც დადასტურდება ხელმოწერით. დირექცია გამოაკრავს წინაგანაწესს შენობაში თვალსაჩინო ადგილას, რათა გახადოს ის ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

ამ ეტაპისთვის სკოლას არ ჰყავს მოსწავლეები, თუმცა, აქვს შემუშავებული მოსწავლესთან / მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში, რომელიც მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ხელშეკრულების თარიღს, ხელშეკრულების მხარეთა მონაცემებს, ხელშეკრულების საგანს, სკოლის საქმიანობას, მხარეთა უფლება-მოვალეობებს, სასწავლო დროს,

დასვენების დროს, უქმე დღეებს, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესს, დავების გადაწყვეტას და მის მარეგულირებელი კანონმდებლობას, დამატებითი პირობებს, შინაგანაწესის გაცნობას,მხარეთა რეკვიზიტებს და ხელმოწერებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
- მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სსიპ- ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს წესი, მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის შესახებ, რომელიც ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა ახლადდაფუძნებული იურიდიული პირია და სასწავლო პროცესს დაიწყებს 15 სექტემბერს, შესაბამისად, ამ ეტაპზე, არ ჰყავს მოსწავლეები. **ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლა ახლადდაფუძნებული იურიდიული პირია და სასწავლო პროცესს დაიწყებს 15 სექტემბერს, შესაბამისად, ამ ეტაპზე, არ ჰყავს მოსწავლეები. **ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლა ახლადდაფუძნებული იურიდიული პირია და სასწავლო პროცესს დაიწყებს 15 სექტემბერს, შესაბამისად ამ ეტაპზე არ ჰყავს მოსწავლეები. **ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის და საფეხურის დაძლევის, წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სსიპ ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლის მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესი (დირექტორის ბრძანება N01-03/33). ზემოაღნიშნული დოკუმენტის მიზანია გააადვილოს პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა სასწავლო პროცესში. ადმინისტრაციასთან გასაუბრებით

გამოიკვეთა, რომ სკოლის ფუნქციონირების დაწყებისთანავე სკოლა უზრუნველყოფს ახალჩარიცხული მოსწავლეების საჭიროებების იდენტიფიცირებას, ადაპტაციის პროცესის მონიტორინგსა და საჭირო მხარდაჭერის ღონისძიებების დაგეგმვას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლა ახლადდაფუძნებული იურიდიული პირია და სასწავლო პროცესს დაიწყებს 15 სექტემბერს, შესაბამისად ამ ეტაპზე არ ჰყავს მოსწავლეები. **ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სასკოლო სასწავლო გეგმის მე-10 პუნქტია რემედიაცია. ამ დოკუმენტის შესაბამისად, პრიორიტეტულ საკითხად მიიჩნევა იმ მოსწავლეთა დახმარება, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით სათანადოდ ვერ ივითარებენ ფუნდამენტურ აკადემიურ ცადნას და უნარებს. სკოლის ძირითადი ამოცანაა მოსწავლეს შეუქმნას პირობები საკუთარი შესაძლებლობების გამოსავლენად, სწავლისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად და საბაზისო უნარების ჩამოსაყალიბებლად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლის დირექციასთან და პედაგოგებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მზად არის დანერგოს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მხარდამჭერი სისტემა, რომელიც ეფუძნება ინდივიდუალური მხარდაჭერის, მონიტორინგისა და მოტივაციის ამაღლების პრინციპებს. სკოლა მოსწავლეთა აკადემიური პროგრესის ხელშეწყობის მიზნით გეგმავს საკონსულტაციო სისტემის გამოყენებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლის დირექციასთან და პედაგოგებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ სკოლა ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას და მათი იდეების რეალიზებას სხვადასხვა სასკოლო პროექტების, კლუბებისა და ღონისძიებების ფარგლებში.

აღნიშნული მიმართულება განხორციელდება მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლის დირექციასთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა მომსახურებასთან დაკავშირებულ უკუკავშირს მიაწვდიან ზეპირი ფორმით მშობელთა კრებებზე, სატელეფონო კომუნიკაციით და ელექტრონული ჟურნალით, რაც გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში და სადამრიგებლო პროგრამაში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმი;
- რემედიაციის პროგრამა;
- სადამრიგებლო პროგრამა.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა, რომლის მიზანია:

- მოსწავლეთა დახმარება საკუთარი ინტერესების, შესაძლებლობების, უნარების, ღირებულებების გაცნობიერებასა და განვითარებაში;
- მოსწავლეთა ინფორმირება საგანმანათლებლო შესაძლებლობების შესახებ;
- მოსწავლეთა აღჭურვა პროფესიული გადაწყვეტილების მიღების თეორიული, პრაქტიკული ცოდნითა და უნარებით.

სკოლას დაგეგმილი აქვს სხვადასხვა უნივერსიტეტთან და კოლეჯებთან (ბსუ, კოლეჯი ბლექსი) თანამშრომლობა, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ როგორც საუნივერსიტეტო, ასევე პროფესიული კოლეჯების პროგრამებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს მოსწავლეები, თუმცა სამომავლოდ გეგმავს მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობას სხვადასხვა მიმართულებით ;

- მოსწავლეთათვის საუნივერსიტეტო/პროფესიული კოლეჯის პროგრამების გაცნობას;
- ღია კარის დღეების ორგანიზებას;
- ერთობლივი შემეცნებითი აქტივობების/ღონისძიებების დაგეგმვას და განხორციელებას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა ახლადდაფუძნებული იურიდიული პირია და სასწავლო პროცესს დაიწყებს 15 სექტემბერს, შესაბამისად ამ ეტაპზე არ ჰყავს მოსწავლეები. **ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმი;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის პროგრამა.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

დაწესებულების მიერ შემუშავებულია და სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია ინკლუზიური განათლების პროგრამა. დირექტორის ბრძანებით (N01-03/34) დამტკიცებულია სსიპ ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ინკლუზიური განათლების ძირითად პრინციპებს, სსსმ მოსწავლის ადაპტაციას, სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომობას, მშობლებთან თანამშრომლობას და მონიტორინგს. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჩარჩო. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე დგინდება, რომ სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა დაეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს, რაც გულისხმობს სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერას ინკლუზიური სწავლების პროცესში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმი
- მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჩარჩო

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა ახლადდაფუძნებული იურიდიული პირია და სასწავლო პროცესს დაიწყებს 15 სექტემბერს, შესაბამისად, ამ ეტაპზე, არ ჰყავს მოსწავლეები. ამიტომ, დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება არ განხორციელებულა/ხორციელდება. **ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლა ახლადდაფუძნებული იურიდიული პირია და სასწავლო პროცესს დაიწყებს 15 სექტემბერს, შესაბამისად, ამ ეტაპზე, არ ჰყავს მოსწავლეები. ამიტომ, დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება არ განხორციელებულა/ხორციელდება. **ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლა ახლადდაფუძნებული იურიდიული პირია და სასწავლო პროცესს დაიწყებს 15 სექტემბერს, შესაბამისად, ამ ეტაპზე, არ ჰყავს მოსწავლეები. ამიტომ, დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება არ განხორციელებულა/ხორციელდება. **ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება**

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სსიპ ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესი ეფუძნება მკაფიოდ განსაზღვრულ მეთოდოლოგიურ ჩარჩოს, რომელიც ორიენტირებულია უწყვეტ და ციკლურ განვითარებაზე. კერძოდ, დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს დოკუმენტი ,,სსიპ ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლის საგნობრივი კურიკულუმის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ" (ბრძანება N01-03/35, 05.06.2026წ.). აღნიშნული მეთოდოლოგია უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების აქტიურ და მიზნობრივ ჩართულობას კურიკულუმის დაგეგმვის, შემუშავებისა და დახვეწის ყველა ეტაპზე, რაც განაპირობებს პროცესის თანმიმდევრულ, სიღრმისეულ და კონტექსტზე მორგებულ წარმართვას/განხორციელებას. მეთოდოლოგიური მიდგომა ეფუძნება თანამონაწილეობის, თანამშრომლობისა და ინკლუზიური ჩართულობის პრინციპებს. ამასთან, მკაფიოდ არის განსაზღვრული კურიკულუმის შემუშავებასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირთა ფუნქციები და პასუხისმგებლობები, რაც ხელს შეუწყობს პროცესის გამჭვირვალობის, ეფექტიანობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

როგორც უკვე აღინიშნა, ვინაიდან სკოლა წარმოადგენს ახლად დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც საქმიანობას განახორციელებს წინასწარ განსაზღვრული საგანმანათლებლო მიზნების, ღირებულებებისა და ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპების საფუძველზე, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესი დაეფუძნება სკოლის საჭიროებებს, ინტერესებსა და სტრატეგიულ პრიორიტეტებს. აღნიშნული პროცესი განხორციელდება უწყვეტი განვითარებისა და ციკლური გაუმჯობესების პრინციპების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმის აქტუალობას, მოქნილობასა და მის შესაბამისობას სასკოლო საზოგადოების საგანმანათლებლო საჭიროებებთან. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

წარმოდგენილი კურიკულუმები შემუშავდა სასკოლო პროფესიული საზოგადოების აქტიური თანამონაწილეობისა და თანამშრომლობის საფუძველზე. მისი დაგეგმვისა და შემუშავების პროცესი წარიმართა მკაფიოდ განსაზღვრული მეთოდოლოგიური ჩარჩოს შესაბამისად. კურიკულუმის შემუშავების პროცესში უშუალოდ იყვნენ ჩართულნი სკოლის მასწავლებლები და სკოლის დირექცია. ინტერვიუების ფარგლებში აღნიშნულმა პირებმა ამომწურავად წარმოადგინეს კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების ეტაპები, გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმები და ის მეთოდოლოგიური თუ პრაქტიკული მიდგომები, რომელთა საფუძველზეც ჩამოყალიბდა აღნიშნული დოკუმენტი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია მოიცავს გაზიარების კომპონენტს — განსაზღვრულია დოკუმენტის რევიზიისა და მონიტორინგის მექანიზმები, რომელთა ფარგლებშიც სასკოლო საზოგადოების ჩართულობა კვლავ აქტუალურია. აღნიშნულ პროცესში პედაგოგიური კოლექტივი უზრუნველყოფს უკუკავშირის სისტემატიურ მიწოდებას, რაც კურიკულუმის განახლებისა და გაუმჯობესების საფუძვლად იქცევა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- სსიპ ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლის საგნობრივი კურიკულუმის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ, (ბრძანება N01-03/35, 05.06.2026წ.).

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში შემუშავებული საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების მკაფიო

	გზას. იგი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და კონსტრუქტივისტულ პრინციპებს, სადაც მოსწავლე არის ცოდნის კონსტრუირების აქტიური სუბიექტი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას და ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. საგნობრივი კურიკულუმები შედგება აუცილებელი სტრუქტურული ერთეულებისაგან. შუალედური მიზნები, ანუ კომპლექსური ბუნების დავალებები საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია და კავშირშია სტანდარტით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებთან, ქვეცნებებთან, სავალდებულო თემებთან და რესურსებთან, თუმცა საგან „მე და საზოგადოება“ და საშუალო საფეხურის საგნების „გეოგრაფიისა“ და „მოქალაქეობის“ საგნობრივი კურიკულმებოს ჩარჩოები არ არის შევსებული სრულად. გასაუბრებისას გამოიკვეთა რომ ისინი კურიკულუმის შემუშავებისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, აქვთ მზაობა შეარჩიონ ისეთი კომპლექსური ბუნების დავალებები აქტივობები და რესურსები, რომლებიც მორგებული იქნება მოსწავლეთა საჭიროებებს, რაც სწავლა - სწავლების პროცესს უფრო სახალისოს და საინტერესოს გახდის **რჩევა:** სასურველია დაწყებით (მე და საზოგადოება), საშუალო (გეოგრაფია, მოქალაქეობა) საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები შეივსოს სრულად. ყველა საგნის სტანდარტით გათვალისწინებულ სავალდებულო თემებში წარმოდგენილი იყოს კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელთა ნაბიჯ-ნაბიჯ დამუშავებით, მოხდება გრძელვადიან მიზნებზე და მის შედეგებზე გასვლა. ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება იყოს დამუშავებული. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

უცხოური ენები	წარმოდგენილ კურიკულუმებში შერჩეულია მოსწავლეთათვის ნაცნობი თემები და კონტექსტი, დაგეგმილია შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომელზე მუშაობისას მოსწავლეს დასჭირდება მაღალი სააზროვნო უნარები და ცოდნის ინტეგრირება. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას კათედრის წევრები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესს, საჭიროებებს და შესაძლებლობებს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩართულობას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა რიგი საკითხები, რომელთა გათვალისწინება კურიკულუმის ჩარჩოს უფრო მკაფიოს და მიზანმიმართულს გახდის. მაგ: **მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სამივე საფეხურის** კულუმის ჩარჩო ფორმა განსხვავებულია. ასევე **დაწყებით** საფეხურის რესურსების გრაფა არ არის შევსებული სრულად, ელექტრონული რესურსების და გრიფირებული სახელმძრვანელოს გვერდების მითითებით. **მუსიკის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში ცნების ფორმულირება არასწორია, დაწყებით საფეხურზე I-VI განსაზღვრულია მხოლოდ ერთი ცნება „მუსიკა“, ხოლო კურიკულუმში წარმოდგენილი** “ბგერა”, “რიტმი”, “მელოდია”, “ჰარმონია”, “ფორმა”, “ჟანრი” წარმოადგენს ქვეცნებებს. **საბაზო და საშუალო საფეხურის** კურიკულუმები სრულად აკმაყოფილებს ინდიკატორს. **რჩევა:** სასურველია მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სამივე საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო იყოს ერთნაირი. ასევე დაწყებითი საფეხურის რესურსების გრაფა იქნას სრულად შევსებული ელექტრონული რესურსების და გვერდების მითითებით. დაწყებითი საფეხურის **მუსიკის საგნის კურიკულუმებში** მოცემული **ქვეცნებების** ზემოთ ნაწილში, განისაზღვროს სამიზნე ცნებება **“მუსიკა”** და შესაბამისად ჩასწორდეს I-VI კლასის კურიკულუმები.

	ასევე თემა, ცნება/ქვეცნებები და დავალების პირობა უფრო დეტალურად დაკონკრეტდეს და მოვიდეს შესაბამისობაში. შეირჩეს სამიზნე ცნებების-ქვეცნებები რომელიც შესაბამისობაში იქნება სასწავლო მიზნებთან და დავალების შინაარსთან. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების ანალიზისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ კათედრას გააზრებული აქვს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის მნიშვნელობა. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა ახლადდაფუძნებულია და სასწავლო პროცესს 2026-2027 სასწავლო წლიდან იწყებს, წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს კათედრის მზაობას, სასწავლო პროცესი წარმართოს ეროვნული სასწავლო გეგმის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. წარმოდგენილია დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის საგნობრივი კურიკულუმი, საბაზო საფეხურზე - VIII კლასის, ხოლო საშუალო საფეხურზე - სრული კურიკულუმები. კურიკულუმები მოიცავს აუცილებელ სტრუქტურულ კომპონენტებს, წარმოდგენილია სამიზნე ცნებები, თემები, საკითხები, კონტექსტმაგალითები, შემოქმედებითი დავალებები და მრავალფეროვანი რესურსები, რაც ქმნის მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის საფუძველს. **რჩევა:** სასწავლო წლის დაწყებამდე დასრულდეს საბაზო საფეხურის VII და IX კლასების საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	მათემატიკის კურიკულუმები მოსწავლეზეა ორიენტირებული. ეს აისახება თემატურ მიმართულებებში, საკითხთა კლასტერებსა, შემოქმედებით/კომპლექსურ დავალებებში, საგანმანათლებლო აქტივობებსა და რესურსებში, რომლებიც მოსწავლეთა არსებული ცოდნისა და გამოცდილების გააქტიურებას ემსახურება.

	გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლები აცნობიერებენ სასწავლო გეგმის მნიშვნელობას, როგორც მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების დაგეგმვისა და განხორციელების მთავარ ინსტრუმენტს. ისინი მუშაობენ როგორც გრძელლვადიან ასევე შუალედურ მიზნებზე, იყენებენ შემოქმედებითი ბუნების დავალებებს. **რჩევა:** სასურველია, ზოგიერთი კლასის სასწავლო გეგმა გადაიხედოს და მოხდეს თემების ესგ-ს მიხედვით განსაზღვრა, რათა სასწავლო პროცესი უფრო მიზანმიმართული და თანმიმდევრული გახდეს. (მაგ: 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4, მე-7 კლასი.) **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმები (სამივე საფეხურისთვის), აგებულია საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად და ეფუძნება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას. მათში შეტანილი სასწავლო თემები კი, ითვალისწინებს მოსწავლის საჭიროებებს, ინტერესებს და მორგებულია სკოლის შესაძლებლობებზე. წარმოდგენილი კურიკულუმებით სასწავლო პროცესის წარმართვა, ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებასა და საფეხურეობრივი სტანდარტის მოსალოდნელ შედეგზე გაყვანას. დაწყებითი საფეხურისთვის გაიცა არასავალდებულო ხასიათის რჩევა, რომლის სამომავლოდ გათვალისწინებაც გადაწყვიტა პედაგოგმა. **რჩევა:** სამომავლოდ სასურველია, რომ **დაწყებითი საფეხურის** ყველა კლასის კურიკულუმში, იყოს შეტანილი თემა თეორიული მიმართულებითაც. (მაგალითად, თემა ცხოვრების ჯანსაღი წესის პრინციპების შესახებ.) **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**.
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმები და პრაქტიკული საქმიანობის ანალიზი ადასტურებს, რომ პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული შემდეგი გარემოებების გამო: სასწავლო თემები და საკითხთა კლასტერები მჭიდროდ უკავშირდება რეალურ, კონტექსტურ მაგალითებს. მაგალითად, მე-2 კლასში ციფრული მოქალაქეობის ცნების ფარგლებში ფიზიკური და ვირტუალური გარემოს აღქმა ხდება მოსწავლისთვის

	ნაცნობი ყოველდღიური კონტექსტით — საკლასო ოთახში ამხანაგებთან და ტელეფონის ზარის საშუალებით მეგობართან კომუნიკაციის შედარებით. კურიკულუმში ინტეგრირებული შემოქმედებითი დავალებები თეორიულ ცოდნას ფუნქციურ პროდუქტად აქცევს. მაგალითად, მე-5 კლასში, სამიზნე ცნების — „პროგრამული კოდი“ (ალგორითმი) ფარგლებში, შემუშავებულია კომპლექსური დავალება „წყალქვეშა სამყარო“. აღნიშნული დავალება მოსწავლეებს სთავაზობს Scratch-ის ვიზუალური პროგრამირების გარემოში ანიმაციის შექმნას მუდმივი (უსასრულო) ციკლებისა და კოსტიუმების დუბლირების მეთოდების პრაქტიკული გამოყენებით. კურიკულუმი უზრუნველყოფს ცნებების სპირალურ განვითარებას კლასებიდან კლასში. თვალსაჩინოა ზრდა ტექსტური რედაქტორის (Microsoft Word) სწავლებისას: მე-3 კლასში მოსწავლეები ეუფლებიან ტექსტის მარტივ გადატანას, მე-4 კლასში — სარჩევის შექმნას, მე-5 კლასში — ბმულებისა და სანიშნეების ინტეგრირებას, ხოლო მე-6 კლასში უკვე გადადიან დოკუმენტის სექციებად დაყოფაზე, ციტატებისა და წყაროების მართვაზე. ვინაიდან სასკოლო კურიკულუმი ეყრდნობა ინდივიდუალური განვითარების პრინციპებს, პასუხობს ესგ-ის მოთხოვნებს და მოიცავს მკაფიოდ სტრუქტურირებულ ფუნქციურ დავალებებს. **რჩევა:** სასწავლო პროცესის კიდევ უფრო მეტად ეფექტურობისა და მოსწავლეზე ორიენტირებულობის მიზნით, მიზანშეწონილია პედაგოგებმა იმუშაონ კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმში გამოყენებული ციფრული რესურსების კიდევ უფრო მეტ გამრავალფეროვნებაზე. მე-5 და მე-6 კლასების კურიკულუმის დოკუმენტში სრულად შეავსონ „კონტექსტ-მაგალითების“ გრაფა. სასკოლო კურიკულუმში პერიოდულად უნდა აისახოს და დაინერგოს ახალი საგანმანათლებლო პლატფორმები, ვიზუალური პროგრამირების ან ონლაინ-ინსტრუმენტები, რომლებიც მნიშვნელოვნად გაზრდის მოსწავლეთა შინაგან მოტივაციას და უზრუნველყოფს შეძენილი ცოდნის წარმატებულ ტრანსფერს და მოსწავლეთა პროცესში ჩართულობას. სასურველია კურიკულუმის საბოლოო ვერსიის ტექნიკური გადამოწმება მასში არსებული მექანიკური და ტერმინოლოგიური ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით.

	ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება I-IVკლ) საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით და მიმართულია სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე. გასაუბრებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული, რისი დაგეგმვისა და განხორციელების გზას კურიკულუმები წარმოადგენს. შუალედურ მიზანზე გასვლისათვის წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც ემსახურება გრძელვადიან მიზანზე გასვლას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში შემუშავებული საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმი ძირითადად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა და სწავლა-სწავლების პრინციპებს. იგი უზრუნველყოფს საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებული სამიზნე ცნებების, მკვიდრი წარმოდგენებისა და შედეგების ეტაპობრივ და სიღრმისეულ ათვისებას. კურიკულუმში არის ნაჩვენები კავშირი ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებსა და ყოველდღიურ სასწავლო პრაქტიკას შორის: სხვადასხვა ტიპის, მათ შორის კომპლექსური დავალებების გამოყენებით, ჩანს რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიური ჩართულობას სწავლა -სწავლების პროცესში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილია სამიზნე ცნებები, თემა, საკითხი/საკითხთა კლასტერი, კონტექსტ-მაგალითი, დავალების იდეა/მიზანი, რესურსები. გადმოგზავნილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ ისინი კურიკულუმის შემუშავებისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ აქვთ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებზე მუშაობის გამოცდილება. ასევე კათედრაზე ისინი გეგმავენ ისეთი შემოქმედებითი ტიპის დავალებებისა და პროექტების განხორციელებას, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებზე გასვლასდა ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. **რჩევა**: სასურველია, მე-7, მე-8, მე-9 კლასის მოქალაქეობის კურიკულუმში ჩაწერილი სამიზნე ცნებები ჩაიწეროს მე-10 კლასის მოქალაქეობის კურიკულუმის სამიზნე ცნებების შესაბამისად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. უცხოური ენების კურიკულუმის ჩარჩოებში ასახულია სავალდებულო თემები, საკითხები, განსაზღვრულია კონტექსტ მაგალითები, შემოქმედებითი ბუნების დავალებები და რესურსები, რაც ხშირ შემთხვევაში ხელს უწყობს საკითხის კონტექსტში სამიზნე ცნებების გააზრებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში და გასაუბრებიდან დგინდება, რომ კათედრას აქვს შემოქმედებითი ტიპის დავალებების განხორციელების გამოცდილება, გათავისებული აქვთ, შუალედური მიზნები განსაზღვრონ ამ დავალებებზე დაფუძნებით.

	გრძელვადიანი მიზნებს ემსახურება ცნება/ქვეცნებათა მუდმივი დამუშავება საკითხების კომპლექსური დავალებებით შესწავლით და პროდუქტის წარმოდგენით, რაც მოსწავლეებს განუვითარებს ცოდნის სამივე კატეგორიას. ესთეტიკურ საგნებში მოცემული აქტივობები მოსწავლეებს ჩამოუყალიბებს ემპათიის უნარს, ემოციურ ინტელექტს, მისცემს მათ იმპროვიზაციის შესაძლებლობას, განუვითარებს კრიტიკულ, შემოქმედებით აზროვნებას და მოამზადებს ცხოვრებისათვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების ანალიზით დგინდება, რომ ისინი ძირითადად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. კურიკულუმებში განსაზღვრული თემები, საკითხები, სამიზნე ცნებები, კონტექსტმაგალითები და შემოქმედებითი დავალებები უზრუნველყოფს სახელმწიფო ენის სტანდარტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისკენ მიმართულ სასწავლო პროცესს. ამასთან, I კლასის კურიკულუმში წინასაანბანო პერიოდში სრულად არ არის ასახული ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა სამიზნე ცნება. **რჩევა:** გადაიხედოს I კლასის სახელმწიფო ენის კურიკულუმი და წინასაანბანო პერიოდში სრულად აისახოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა სამიზნე ცნება, მათ შორის - დაწერილი და წარმოთქმული სიტყვა **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	კურიკულუმებში ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები სრულად არის გათვალისწინებული, რაც აისახება ყველა ძირითად კომპონენტში: თემები, საკითხები, შუალედური და გრძელვადიანი მიზნები, ძირითადი და დამხმარე რესურსები. კურიკულუმების განხორციელების პროცესში დაგეგმილია ისეთი აქტივობები, (ძირითადად შემოქმედებითი დავალებები) რომლებიც ხელს უწყობს ფუნქციური კომპონენტური უნარების განვითარებას.

	რჩევა: სასურველია გადაიხედოს ზოგიერთი კლასის კურიკულუმი და სამიზნე ცნებების ქვეცნებების განსაზღვრა მოხდეს ესგ-ს მატემატიკის სტანდარტის შესაბამისად. (მაგ: მე-2, მე-3, მე-4, მე-7 კლასი-თემები და საკითხები შესაბამისობაშია მოსაყვანი). სასურველია დაწყებითი (1-4) კლასების კურიკულუმშებში ასახოთ შემოქმედებითი დავალებები. ინდიკატორი შესაბამისობაშია. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმები (სამივე საფეხურისათვის) მიემართება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას. აგებულია საგნის სამიზნე ცნებებსა და საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგზე. მასში სასწავლო თემები შეტანილია საგნობრივი სტანდარტით შეთავაზებული თემატური ბლოკებიდან საფეხურების მიხედვით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმი სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან საგნობრივ მიზნებს. დოკუმენტის არქიტექტურა ეფუძნება ძირითად სამიზნე ცნებებს: ალგორითმი, კომპიუტერული მოწყობილობა და ციფრული წიგნიერება. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ფუნქციური და პროცედურული ცოდნის კონსტრუქტირებაზე. თემატურ მატრიცებში ინტეგრირებული შუალედური მიზნები ორგანულ კავშირშია საგნობრივ სტანდარტებთან. მკაფიოდ არის რეალიზებული ვერტიკალური თანამიმდევრობა და სპირალური სწავლების პრინციპი (II-VI კლასები). წინარე ცოდნაზე დაფუძნება დასტურდება II კლასებში პირობითი ნიშნების გაცნობიდან ვიზუალურ პროგრამირებაზე ეტაპობრივი გადასვლით. მიუხედავად პოზიტიური ტენდენციებისა, დოკუმენტის ანალიზის შედეგად გამოვლინდა შემდეგი შეუსაბამობები: II, III, IV და V კლასების მატრიცებში საგნობრივი საკითხების დიდ ნაწილს არ აქვს მითითებული რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირებული კონტექსტ-მაგალითი.

	ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუირების პროცესში, საგნის მასწავლებელმა გამოხატა სრული მზაობა, რომ გამოავლენს შესაბამის ძალისხმევას ხარვეზების მოკლე დროში აღმოფხვრის მიზნით. კურიკულუმი ნაწილობრივ საჭიროებს მცირე ხარვეზების გამოსწორებას, რაც, არსებული პერსონალის განწყობისა და რესურსების გათვალისწინებით, გავლენას არ ახდენს საქმიანობის ძირითად ხარისხზე. ხარვეზები სრულად გამოსწორებადია მოკლევადიან პერიოდში. **რჩევა:** სასურველია, კათედრამ გააგრძელოს მუშაობა შემოქმედებითი დავალებების ბანკის გამდიდრებაზე, რათა კიდევ უფრო მეტად მოხდეს საგნობრივი სტანდარტის შედეგების (ინდექსების) ინტეგრირება ყოველდღიურ სასწავლო პროცესში და შენარჩუნდეს სპირალური სწავლების მაღალი ხარისხი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	საგნობრივ კურიკულუმებში წარმოგენილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული სამიზნე ცნებები და შედეგები. საკითხი/საკითხთა კლასტერი ამუშავებს სამიზნე ცნებებს. კომპლექსური (შემოქმედებითი) დავალებები, სხვადასხვა აქტივობები, მორგებულია შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, ანალიზის, კომუნიკაციის უნარების განვითარებაზე. **რჩევა**: აუცილებელია ქართული ენის პირველი კლასის კურიკულუმში, წინა საანბანო პერიოდში დამუშავდეს ცნება წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა და დანარჩენ ცნებებს ჰქონდეს დართული შესაბამისი ქვეცნებები. სასურველია I-IV კლასების ბუნების და მათემატიკის კურიკულუმებში სავალდებულო თემები სრულად იყოს შესაბამისობაში საგნობრივ სტანდარტთან. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში კურიკულუმით გათვალისწინებული ციფრული და საგანმანათლებლო რესურსები სრულად უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას. კურიკულუმი ცხადყოფს რომ სასწავლო პროცესში გამოიყენებული იქნება მრავალფეროვანი და შინაარსობრივად გამართული რესურსები (სახელმძღვანელოები, დამატებითი ლიტერატურა, თვალსაჩინოებები, ციფრული და ინტელექტუალური მასალები), რომლებიც მორგებულია მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და ინდივიდუალურ საჭიროებებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ გადმოგზავნილ საგნობრივ კურიკულუმებში, რესურსების სახით წარმოდგენილია ძირითადი გრიფირებული სახელმძღვანელო და/ან განათლების სამინისტროს მიერ აღიარებული სახელმძღვანელო და დამატებითი რესურსების ბმულები. პედაგოგებს გააზრებული აქვთ თანამედროვე, სწრაფად ცვლად სამყაროში, რამდენად მნიშვნელოვანია ახალი, მრავალფეროვანი და საინტერესო რესურსების გამოყენება, ამიტომ გეგმავნენ მათ დახვეწაასა და გაუმჯობესებას. **რჩევა:** სასურველია დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ დამატებით რესურსებს დაემატოს მრავალფეროვანი და საინტერესო ციფრული რესურსების ბმულები, რომელიც მჭიდრო ურთიერთკავშირში იქნება სამიზნე ცნებასთან და გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

უცხოური ენები	კურიკულუმებში სახელმძღვანელო გამოყენებულია, როგორც ძირითადი რესურსი, ის წარმოადგენს მთავარ საყრდენს და უშუალოდ უკავშირდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს. კურიკულუმებში ჩაშენებულია ელექტრონული ბმულები საგანმანათლებლო ვიდეოების სახით, რაც მოსწავლეებს ეხმარება სწავლის შედეგების მიღწევაში. **რჩევა:** სასურველია, რომ უცხოური ენების კათედრამ გამოიყენოს უფრო მრავალფეროვანი რესურსები, როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით, რომლებიც მორგებული იქნება მოსწავლეთა ინტერესებზე, ასაკობრივ თავისებურებებსა და საჭიროებებზე. ამასთანავე, სასურველია, კონტექსტ მაგალითის გრაფაში მითითებული იყოს კონკრეტული რესურსი (მაგალითად: ესეს მოდელი, ტექსტი, ბროშურა და სხვ.), რომელიც მოსწავლეს დაეხმარება კონკრეტულ დავალებაზე მუშაობის პროცესში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა: **მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დაწყებით და საბაზო საფეხურზე** შემოქმედებითი პროდუქტის (კომპლექსური დავალების) რაოდენობა, შეუსაბამოა სასწავლო მასალის სრულფასოვნად ასათვისებლად კონკრეტულ ვადაში. **მუსიკაში ყველა საფეხურის კურიკულუმში** არ იძებნება სვეტი „მაგალითები შედარებისათვის“, მუსიკის საგნის ზოგიერთ კურიკულუმში გადასახედი და შესაცვლელია **კონტექსტ მაგალითის** შინაარსი. (მაგ: VI კლასის კურიკულუმში I-III-IV თემის კონტექსტ მაგალითი არ შეესაბამება სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.) ასევე ზოგიერთ კურიკულუმში არ არის სრულად შევსებული **რესურსების** გრაფა. **რჩევა:** სასურველია, გადაიხედოს შემოქმედებითი პროდუქტის რაოდენობა, რათა მოხდეს სასწავლო მასალის სრულფასოვნად ათვისება კონკრეტულ ვადაში, კათედრაზე ჩამოყალიბდეს ერთიანი ხედვა, სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში **დაწყებით და საბაზო საფეხურზე**

	შემოქმედებითი პროდუქტის (კომპლექსური დავალების) რაოდენობასთან დაკავშირებით მაგ: სემესტრის განმავლობაში ერთი მაინც; სასურველია **მუსიკაში ყველა საფეხურის კურიკულუმში** ჩაემატოს „მაგალითები შედარებისთვის“ სვეტი და შეივსოს თემის, ცნება/ქვეცნებების და საკითხის გათვალისწინებით. სასურველია კონტექსტ მაგალითი (VI კლასის კურიკულუმში ჩამოყალიბდეს II თემის შინაარსის გათვალისწინებით.) ამის გათვალისწინებით საჭიროებისამებრ დაკორექტირდეს სხვა კურიკულუმებშიც. სასურველია, ძირითად რესურსად გამოყენებული იყოს გრიფირებული სახელმძღვანელოები, გვერდების მითითებით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	საგნობრივი კურიკულუმების ანალიზით დგინდება, რომ კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას. ძირითად რესურსად განსაზღვრულია გრიფირებული სახელმძღვანელო, ხოლო დამატებით გამოყენებულია მხატვრული და არამხატვრული ტექსტები, ელექტრონული რესურსები, ინტერნეტბმულები და სხვა დამხმარე მასალები, რომლებიც შეესაბამება განსახილველ თემებს, სამიზნე ცნებებსა და დაგეგმილ სასწავლო აქტივობებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესში გამოიყენება როგორც ძირითადი გრიფირებული სახელმძღვანელოები, ისე დამხმარე ონლაინ და მატერიალური რესურსები. ონლაინ რესურსების მაგალითებია: "ტელე სკოლის" ვიდეო გაკვეთილები, "ხანის აკადემიის" გაკვეთილები და ტესტები. სიმულაციები phet-is; geogebra-ს. თუმცა მას არა აქვს ინტენსიური ხასიათი. **რჩევა:** სასურველია მოხდეს დამხმარე რესურსების გამრავალფეროვნება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების გათვალისწინებით, განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე მხოლოდ სახელმძღვანელოს იყენებთ. (მაგ: მე-2კლ) ასევე, ზოგიერთი კლასის კურიკულუმში

	სასურველია გააქტიუროთ ჰიპერლინკები, არ იხსნება (მაგ, მე-4კლ, მე-5კლ, მე-6კლ) სასურველია გამოიყენოთ: ilსკოლის რესურსები. math.ge ზე არსებულ რესურსები და სხვა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, პედაგოგებს კურიკულუმში შეტანილი აქვთ ისეთი სასწავლო თემები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ სკოლაში არსებული მატერიალური რესურსით - კეთილმოწყობილი სპორტული ინფრასტრუქტურითა და ინვენტარით. სასწავლო პროცესის წარმართვისათვის ძირითად რესურსად შეტანილი აქვთ გრიფირებული მასწავლებლის წიგნები: დამხმარე გზამკვლევები სპორტის სხვადსხვა სახეობების მიხედვით (საბაზო და საშუალო საფეხურისთვის), მასწავლებლის წიგნი დაწყებითი საფეხურისათვის; ასევე პრეზენტაციები თეორიული სწავლების მიმართულებით სხვადასხვა თემაზე; ხოლო დამხმარე ელექტრონულ რესურსად, სხვადსხვა ღია ინტერნეტ წყაროებიდან წარმოდგენილია ვიდეორგოლები ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებისა და სხვადსხვა სპეციალური ვარჯიშების ტექნიკის შესახებ. საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კურიკულუმების ანალიზით დასტურდება, რომ სკოლაში არსებობს ძირითადი მატერიალური ინფრასტრუქტურა პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად. კერძოდ, მკაფიოდ არის გაწერილი აპარატურული მზაობა, რაც მოიცავს პერსონალურ კომპიუტერებსა და პროექტორებს. გარდა ამისა, მე-5 კლასის კომპლექსურ დავალებაში წარმატებით არის ინტეგრირებული სამინისტროს მიერ რეკომენდებული ელექტრონული საგანმანათლებლო პლატფორმა school.emis.ge მიუხედავად აღნიშნული ძლიერი მხარეებისა, წარმოსგენილი დოკუმენტაციის შესწავლის პროცესში გამოიკვეთა გარკვეული ხარვეზები, რომლებიც საჭიროებენ სისტემურ კორექტირებას: მე-5 კლასის კურიკულუმში მოსწავლეები შეისწავლიან Excel-ის პროგრამაში ინფორმაციის დახარისხებასა და გამოთვლებს (ჯამი, სხვაობა, შემთხვევითი რიცხვები). თუმცა, მე-6 კლასის

	კურიკულუმში ზუსტად იგივე ფორმულირებით არის შეტანილი თემა: „ცხრილში ინფორმაციის სხვადასხვა პრინციპით დახარისხება და გამოთვლების წარმოება (შემთხვევითი რიცხვები, ჯამი, სხვაობა)“, რაც მიუთითებს კურიკულუმებს შორის შინაარსობრივი პროგრესიის დეფიციტზე. მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 კლასების ყველა დონეზე ფიგურირებს ვიზუალური პროგრამირება (Scratch/ანიმაციები). თუმცა, შესაბამის სვეტში ყოველთვის მითითებულია მხოლოდ ზოგადი ტერმინები: „Scratch“ ან „კომპიუტერი, პროექტორი, scratch“, კონკრეტული მეთოდური გაიდების, ელექტრონული ბარათების ან დამხმარე ვიზუალური მასალების გარეშე. ისეთ მნიშვნელოვან თემებზე, როგორიცაა „საავტორო უფლებები“ (მე-5 კლასი), „Office 365-ის პირადი ანგარიშის მართვა“ (მე-6 კლასი) და „ფიზიკური და ვირტუალური გარემო“ (მე-2 კლასი), რესურსად მითითებულია მხოლოდ სტანდარტული „კომპიუტერი და ინტერნეტი“. დოკუმენტაციაში არ ჩანს დამატებითი საგანმანათლებლო მასალები (ქეისები, ვიდეო-რგოლები, ილუსტრირებული გზამკვლევები). სკოლას გააჩნია უფრო მეტი ძლიერი, ვიდრე სუსტი მხარე, რომელიც მნიშვნელოვნად არ აუარესებს სასწავლო პროცესის ხარისხს. გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად სკოლას აქვს რეალური მზაობა და გააჩნია შესაბამისი ადამიანური თუ მატერიალური რესურსი. **რჩევა:** სკოლამ მიზანშეწონილია შეიმუშაოს და დანერგოს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ისეთი მექანიზმი, რომელიც კურიკულუმების ყოველწლიური გადასინჯვის პროცესში უზრუნველყოფს რესურსების სვეტის პერიოდულ განახლებასა და ციფრული სასწავლო მასალების ბანკის (ბიბლიოთეკის) გამდიდრებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულია სწავლის და სწავლების მიზნის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსები, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და სხვადასხვა დამხმარე ლიტერატურა, ვიდეოგაკვეთილები, ტელესკოლის გაკვეთილები,

	სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები, რომლებიც უზრუნველყოფენ კურიკულუმით განსაზღრულ შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	გადმოგზავნილი დოკუმენტაციითა და გასაუბრებით ირკვევა, რომ სკოლა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებთა კათედრა შეძლებს უზრუნველყოს ინკლუზიური და დიფერენცირებული სასწავლო გარემო, სადაც სწავლა-სწავლების პროცესი მიმართული იქნება მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, ინტერესებსა და მზაობის დონეს. სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერისა და დიფერენცირებული დავალებების/სტრატეგიების გამოყენებით, სკოლა უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის თანაბარ ხელმისაწვდომობას ხარისხიან განათლებაზე და მათი აკადემიური თუ პიროვნული პროგრესის ხელშეწყობას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაციით და გასაუბრებით ჩანს, რომ კათედრას აქვს მზაობა შექმნას ინკლუზიური გარემო, ადაპტირებული კომპლექსური ბუნების დავალებები. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მრავალფეროვანი აქტივობებით და რესურსებით შეძლებენ მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებას და აქტიურ ჩართულობა სწავლა-სწავლების პროცესში, სწორად მიცემული უკუკავშირი კი მოეხმარებათ მათ მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების დანახვაში და შემდგომი აქტივობების დაგეგმვაში.

	ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
უცხოური ენები	სასკოლო კურიკულუმი იმგვარადაა შედგენილი, რომ იძლევა დიფერენცირების შესაძლებლობას, ითვალისწინებს მოსწავლეთა მზაობას და ხელს უწყობს მათ ჩართულობას სასწავლო პროცესში, ამის დასტურია საგნობრივ კურიკულუმში გაწერილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები და ის მრავალფეროვანი შემოქმედებითი პროდუქტები (პრეზენტაცია, პოსტერი, განრიგი, ესე და სხვ.), რომლებსაც მოსწავლეები ქმნიან დავალების ფარგლებში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	ინტერვიურების პროცესში დადასტურდა რომ კათედრას აქვს დიფერენცირებული სწავლების მზაობა. მიეცათ რჩევა, რომ ისგ, რომელსაც შეუდგენენ მოსწავლეს, მოიცავდეს ასაკობრივ თავისებურებებს, შეასწავლიდეს ზუსტად იგივე თემას, საკითხს და ამუშავებდეს ყველა ქვეცნებას, რომელიც გათვალისწინებულია კომპლექსური დავალების შესრულებისათვის. ოღონდ, მოცემულობა მოერგის მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და შესაბამისად წარიმართოს თემის დაძლევაზე მუშაობაც. კათედრამ გამოთქვა მზაობა აღნიშნული საკითხის მიმართ და ეს **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	პედაგოგებმა წარმოადგინეს ინფორმაცია სასწავლო პროცესის დაგეგმვისას მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების, შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინების შესახებ. მათი განმარტებით, საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იქნება დიფერენცირებული სასწავლო აქტივობები და შესაბამისი მიდგომები, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობას. ვინაიდან სკოლა ახალდაარსებულია და სასწავლო პროცესი ჯერ არ დაწყებულა, შეფასება ეფუძნება წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და ინტერვიუს შედეგებს.

	ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
მათემატიკა	სანობრივი კურიკულუმი შექმნილია ისე, რომ მასში ორგანულადაა ინტეგრირებული დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. ძირითადად შემოქმედებითი/კომპლექსური დავალებების პირობებში, კრიტერიუმები და აქტივობები ეტაპებადაა გაწერილი და მოიცავს ცოდნის სამივე კატეგორიას და აგებულია მარტივიდან რთულისკენ. ეს სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებს მისცემს საშუალებას, თანაბრად ჩაერთონ სასწავლო პროცესში და განავითარონ საკუთარი პოტენციალი. ვიზიტის დროს პედაგოგების უკუკავშირით დასტურდება, რომ აქვთ ამ მიმართულებით მუშაობის გამოცდილება, ისინი აქტიურად აკვირდებიან მოსწავლეთა პროგრესს, აგროვებენ მონაცემებს და მათი ანალიზის საფუძველზე აფასებენ თითოეული მოსწავლის საჭიროებებსა და ძლიერ მხარეებს. და უზრუნველყოფენ ინდივიდუალურ მხარდაჭერას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	კურიკულუმებიდან ჩანს და პედაგოგმაც აღნიშნა გასაუბრებისას, რომ მას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი მოარგოს მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებსა და ფიზიკურ შესაძლებლობებს. გაითვალისწინოს ნებისმიერი მოსწავლის ინტერესი და ჰქონდეს დიფერენცირებული მიდგომები. პედაგოგმა საუბრისას აღნიშნა, რომ მას აქვს გამოცდილება და მზაობა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისა საგანში სსსმ მოსწავლის არსებობის შემთხვევაში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	გასაუბრებით დასტურდება, რომ პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ინკლუზიურ/დიფერენცირებულ მიდგომების გამოყენებას. ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, მათ საჭიროებებსა და ინტერესებს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. ხდება შემოქმედებითი დავალებების მოდიფიცირება მათი შესაძლებლობის ფარგლებში.

	პედაგოგებმა ისაუბრეს სსსმ მოსწავლეთა შეფასების ინდივიდუალურ მიდგომასა და ადაპტირებული აქტივობების მაგალითების შესახებ. **რჩევა**: სასწავლო პროცესში გამოყენებული დიფერენცირებული სწავლების მიდგომები გაიწეროს კურიკულუმებშიც. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	გასაუბრებით დასტურდება, რომ პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ინკლუზიურ/დიფერენცირებულ მიდგომების გამოყენებას. გაითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, მათ საჭიროებებსა და ინტერესებს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო კათედრის წევრების მიერ შემუშავებული მოსწავლის შეფასების სისტემა დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, არის ობიექტური, გამჭვირვალე და განვითარებაზე ორიენტირებული. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ, გადმოგზავნილია საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების ზოგადი, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ, თუ როგორ უნდა შეაფასონ მოსწავლეები კონკრეტული კრიტერიუმების

	მიხედვით. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიიდან ჩანს, რომ სკოლის შეფასების სისტემა ძირითადად ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. **რჩევა:** სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე აქტიურად გამოიყენოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლების თითოეული საგნის სტანდარტის შედეგების ინდიკატორებიდან გამომდინარეობს და გრძელვადიან მიზნისკენ ანუ სამიზნე ცნებისკენ მიემართება. სავალდებულო თემაში დასამუშავებელ კომპლექსური ბუნების დავალებას თან ახლდეს შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	კათედრას შემუშავებული აქვს ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი, რომელიც განსაზღვრავს მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შედარებით და განმავითარებელი, სადაც ორიენტირი მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობაა. შეფასება ხდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები ადასტურებს, რომ ორიენტირება ხდება სამიზნე ცნებებსა და მოლოდინებზე თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. **რჩევა:** მნიშვნელოვანია, რომ კათედრამ შეიმუშაოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ყველა შესასწავლი თემის ფარგლებში. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ შემაჯამებელი დავალება მოიცავდეს როგორც ღია, ისე დახურული ტიპის დავალებებს, რომ მოხდეს არა მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის, არამედ მოსწავლის ანალიზის და ენის კონტექსტში გამოყენების უნარის შემოწმება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა რიგი საკითხები, რომელთა გათვალისწინება შეფასების სისტემას ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებთან, მიზნებსა და ამოცანებთან უფრო მიზანმიმართულს გახდის. კერძოდ: კათედრის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის VI კლასის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში არ არის განსაზღვრული ქულები კრიტერიუმთან მიმართებაში. **რჩევა:** სასურველია VI კლასის მუსიკის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში განისაზღვროს ქულები თითოეულ კრიტერიუმთან მიმართებაში. ასევე **VI კლასის განმავითარებელი და და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების მიხედვით ჩამოყალიბდეს დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები საგნების მიხედვით** კათედრაზე. სტანდარტით განსაზღვრული **თემის, საკითხის, ცნება/ქვეცნების გათვალისწინებით**. მიუხედავად იმისა, რომ კათედრამ წარმოადგინა მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები, მიეცათ კონკრეტული რჩევები და კათედრას აქვს მზაობა შექმნას მსგავსი მოცემულობის განმავითარებელი და განმსაზღვრელი საგნობრივი შეფასების რუბრიკები, ყველა საფეხურის ყველა თემასთან მიმართებით, რაც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმში განსაზღვრულია როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების გამოყენება და შეფასების პრინციპები. თითოეული საფეხურისათვის წარმოდგენილია შეფასების რუბრიკის თითო ნიმუში. საშუალო საფეხურის შეფასების რუბრიკის ნიმუშში მკაფიოდაა განსაზღვრრული შეფასების კრიტერიუმები, ხოლო საბაზო საფეხურის შეფასების რუბრიკის ნიმუში საჭიროებს დაზუსტებას, რათა შეფასების კრიტერიუმები უფრო მკაფიოდ დაუკავშირდეს კონკრეტულ საკითხსა და სამიზნე ცნებებს.

	რჩევა: სასწავლო წლის დაწყებამდე თითოეული საფეხურისათვის შემუშავდეს შეფასების რუბრიკები ისე, რომ შეფასების კრიტერიუმები მკაფიოდ დაუკავშირდეს კონკრეტულ საკითხებსა და სამიზნე ცნებებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	მათემატიკის კათედრას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ნიმუშები, რომლებიც ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მეთოდური ორიენტირების გამოკვეთას და მოსწავლის პროგრესის დიაგნოსტირებას. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში მკაფიოდ არ აისახება ესგ-ის შედეგების მიღწევის ინდიკატორები. **რჩევა:** შეფასების რუბრიკების შექმნისას სასურველია მასწავლებლებმა აქტიურად გამოიყენონ ესგ-ის საგნობრივი მიზნები, როგორც სახელმძღვანელო სწავლებისას და შეფასებისას. ასევე თითოეული სასწავლო ერთეულის, გაკვეთილისა და დავალების დაგეგმვისას მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, ესგ-ის რომელ კონკრეტულ მიზნებსა და შედეგებზე მუშაობს მოსწავლე. შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შესაფასებლად, სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ისინი შეესაბამება ესგ-ს მოთხოვნებს და შედგენილია ისე რომ, მასში გაწერილი კრიტერიუმები აფასებდეს თითოეულ სამიზნე ცნებას საგნობრივი სტანდარტის მიხედვით, თუმცა ისინი საჭიროებს დახვეწას და გაიცა შესაბამისი რჩევა. **რჩევა:** სამომავლოდ სასურველია, რომ მათ მიერ შექმნილი შეფასების რუბრიკები იყოს მეტად დახვეწილი და კონკრეტული, ისე რომ კრიტერიუმები შეესაბამებოდეს შესაფასებელი თემის საკითხებს, თითოეული სამიზნე ცნების მიხედვით. **სამივე საფეხურისათვის).**

	ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის (შეფასების რუბრიკები) და პედაგოგთან ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა გამოყენებს შეფასების სხვადასხვა ფორმა, მათ შორის როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება. წარმოდგენილია როგორც ზოგადი, ასევე კონკრეტულ დავალებებზე მორგებული შეფასების რუბრიკები, რომლებიც განსაზღვრავს შეფასების კრიტერიუმებს და გარკვეულწილად უზრუნველყოფს მოსწავლის შედეგების შეფასებას. ინტერვიუს დროს მასწავლებელმა აღნიშნა განმავითარებელი შეფასების ფარგლებში მოსწავლეებს მიეცემათ უკუკავშირი, რაც მიმართულია მათი ნამუშევრების გაუმჯობესებაზე და შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე. შეფასების პროცესში ასევე მიექცევა ყურადღება პრაქტიკულ დავალებებს, რაც მნიშვნელოვანია კომპიუტერული ტექნოლოგიების სპეციფიკიდან გამომდინარე. თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზმა ზოგიერთ შემთხვევასი გამოავლინა რიგი საკითხები რაც უნდა გაუმჯობესდეს: ● მაგ., პედაგოგის მიერ შეფასების რუბრიკები ზოგ შემთხვევაში მოძველებულია და არ ასახავს თანამედროვე საგნობრივ მიდგომებს ● ზოგ შემთხვევაში შეფასების კრიტერიუმები სრულად არ არის დაკავშირებული სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებთან, რაც ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა ● ზოგიერთ შემთხვევაში შეფასება მოიცავს არასაგნობრივ კომპონენტებს (მაგ. მოწესრიგებულობა), რაც ამცირებს შეფასების ვალიდურობას ● ზოგიერთი შემაჯამებელი დავალება უფრო ორიენტირებულია ფაქტობრივი ცოდნის გადამოწმებაზე და ნაკლებად მოითხოვს ანალიზს, ინტერპრეტაციასა და შემოქმედებით აზროვნებას. **რჩევა:** სასურველია შეფასების სისტემა გადაიხედოს და ყველა რუბრიკა დაეფუძნოს სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებს, რათა შეფასება გახდეს უფრო ვალიდური. კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებმა დანერგონ ციფრული პორტფოლიოების სისტემა, სადაც

	მოსწავლეები განათავსებენ თავიანთ ნამუშევრებსა და მათზე გაკეთებულ უკუკავშირებს წლის განმავლობაში. ეს დაეხმარება მოსწავლეებს, თვალსაჩინოდ დაინახონ საკუთარი პროგრესი დროში და გააძლიეროს შეფასების პროცესის დოკუმენტირება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილია დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება) განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, როგორც ზოგადი, ისე კონკრეტულ დავალებას მორგებული, რომლების ადასტურებს, რომ შეფასება ეყრდნობა საგნობრივი სტანდარტის თემების ფარგლებში მიღწევის ინდიკატორებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები (ზოგადი, განმსაზღვრელი, განმავითარებელი)
- ესთეტიკური აღზრდა საგნობრივი კურიკულუმები
- საგნობრივი კურიკულუმების შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ახლადდაფუძნებულ სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემუშავებული სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნათა და პრინციპების სრული დაცვით. დაწესებულებას გააზრებული აქვს საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმის დინამიკური ბუნება; შესაბამისად, სასწავლო წლის განმავლობაში იგეგმება სასწავლო პროცესზე დაკვირვება და მონიტორინგი, ხოლო პრაქტიკული გამოცდილების შეჯამების საფუძველზე კურიკულუმის შემდგომი სრულყოფა და განვითარება მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად და ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და პრინციპებს. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კათედრას აქვს

	მზაობა იხელმღვანელოს კონსტრუქტივისტული პრინციპებით, სასწავლო პროცესი იყოს შემოქმედებითი, საინტერესო, გაანალიზონ სწავლა - სწავლების პროცესი და შედეგები, ერთმანეთს მისცენ კონსტრუქციული უკუკავშირი და გაითვალისწინონ ახლი კურიკულუმის შემუშავების დროს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	სამივე საფეხურის სასწავლო კურიკულუმი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ მიზნებსა და მისაღწევ შედეგებს. კურიკულუმში გაწერილი თემები და შემოქმედებითი ტიპის დავალებები თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტულ მიმართულებებთან, შექმნილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები და განსაზღვრულია რესურსები, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას. **რჩევა:** მნიშვნელოვანია, რომ სამივე საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში მიუთითოთ საათობრივი განაწილება თითოეულ თემასთან მიმართებით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ინტერვიურების პროცესიდან დაზუსტდა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა სასწავლო პროცესი იძლეოდეს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, ახალი ცოდნის კონსტრუირება მოხდეს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეთდეს სწავლის სწავლაზე და ორიენტირებული იყოს ცოდნის სამ კატეგორიაზე ასევე სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნას მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება სასკოლო კურიკულუმს. აღნიშნული შესაბამისობა უზრუნველყოფილია როგორც კურიკულუმის შინაარსობრივი მხარით, ისე პედაგოგთა პროფესიული მზაობითა და პოტენციალით. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა ახლად დაფუძნებულია და სასწავლო პროცესი ჯერ არ დაწყებულა, მასწავლებელთა გასაუბრებამ აჩვენა, რომ მათ აქვთ სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობისა და სასწავლო პროცესის დაგეგმვის გამოცდილება, ასევე კარგად იცნობენ თანამედროვე პედაგოგიურ მიდგომებს. სასკოლო კურიკულუმში განსაზღვრული სწავლის შედეგები მასწავლებლებს აძლევს მკაფიო ორიენტირს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მოსწავლეებში შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების განვითარებისათვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. აღნიშნული შესაბამისობა უზრუნველყოფილია როგორც კურიკულუმის შინაარსობრივი მხარით, ისე პედაგოგთა პროფესიული მზაობითა და პოტენციალით. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა ახალი დაფუძნებულია, მასწავლებელთა გასაუბრებამ გამოავლინა, რომ პედაგოგებს აქვთ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მუშაობის გამოცდილება და სიღრმისეულად ერკვევიან თანამედროვე პედაგოგიურ მიდგომებში. სასკოლო კურიკულუმში განსაზღვრული შედეგები მასწავლებლებს აძლევს ზუსტ ორიენტაციას, თუ რა ცოდნა და უნარები უნდა განუვითარონ მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმის (ესგ) მოთხოვნების გათვალისწინებით. პედაგოგთა გამოცდილება და კომპეტენცია მათ საშუალებას აძლევს, ეფექტურად დანერგონ და განახორციელონ ისეთი შემოქმედებითი დავალებები, როგორებიცაა: “პიცის განაწილება” „სკოლის ეზოს დაგეგმარება“, „თერმომეტრის მაკეტის შექმნა“, “პაროლის შექმნა და ამოცნობა” , “ცის რუკა და თანავარსკვლავედი” და სხვა **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში, პედაგოგებს გაწერილი აქვთ ის სასწავლო თემები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ სასწავლო პროცესის წარმართვისას სკოლის ბაზაზე არსებული კარგი სპორტული ინფრასტრუქტურით (სპორტული მოედანი და შიდა დარბაზი) და ინვენტარით. გასაუბრებისას პედაგოგმა გამოთქვა მზაობა იმისათვის, რომ გარდა კურიკულუმით გაწერილი თემების ფარგლებში ჩასატარებელი სასკოლო აქტივობებისა, როგორიცაა შიდასასკოლო ფესტივალები (მაგალითად, „მხიარული სტარტები“ და ფესტივალი კურიკულუმით გათვალისწინებული თემების მიხედვით), სკოლის მოსწავლეებს აქტიურად ჩართავს არაფორმალური განათლების მიმართულებით სასკოლო სპორტულ ოლიმპიადებში სპორტის სხადასხვა სახეობების მიხედვით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი სტრუქტურირებულია კურიკულუმში მოცემული თემატური ჩარჩოს მიხედვით. თითოეული სამიზნე ცნების (მაგ: „ალგორითმი“, „ინფორმაცია“, „კომპიუტერული მოწყობილობები“) დამუშავება ხდება წინასწარ დაგეგმილი ეტაპების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების თანმიმდევრულ მიღწევას. სწავლება აგებულია კომპლექსურ დავალებებზე, რომლებიც კურიკულუმის განუყოფელი ნაწილია. სასწავლო პროცესში ნათლად ჩანს კავშირი დაგეგმილ აქტივობებსა და მოსწავლის მიერ შესასრულებელ საბოლოო პროდუქტს შორის, რაც ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას. სასწავლო პროცესის დაგეგმვა დასტურდება მასწავლებლის წარმოდგენილი დოკუმენტაციით (კურიკულუმის სამუშაო ვერსიები). ინტერვიუს მსვლელობისას მხარეთა მიერ დეტალურად იქნა განხილული და გაანალიზებული მიმდინარე ეტაპზე იდენტიფიცირებული ყველა ხარვეზი და გამოწვევა. პედაგოგმა გამოავლინა მაღალი პროფესიული პასუხისმგებლობა და სრული მზაობა გამოთქვა აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრასთან დაკავშირებით.

	ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	გასაუბრებისას პედაგოგებმა დაადასტურეს, რომ სასწავლო პროცესი დაწყებით კლასებში დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მიხედვით და სწავლება წარიმართება წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში მოხდება დავალების შეცვლაც. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლას გეგმავს, რომ მუდმივად დააკვირდეს საგანმანათლებლო გარემოს დინამიკას, მოსწავლეთა და მშობელთა საჭიროებებს, ასევე, საგნობრივ და მეთოდურ გამოწვევებს. სასკოლო საზოგადოების მზაობა ამ მიმართულებით ვლინდება როგორც კურიკულუმის შინაარსობრივ კორექტირებაში, ისე ორგანიზაციული მიმართულებით განსახორციელებელ ცვლილებებში - ინტეგრირებული თემების მოდიფიცირების, დამატებითი მხარდაჭერის მობილიზებისმ საკლასო მუშაობის სტრუქტურის გადახედვისა ან სათანადო რესურსების გამოყენების გზით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნებში შემუშავებული მოსწავლის შეფასების სისტემა აკმაყოფილებს ვალიდურობის, სანდოობის, ობიექტურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის მოთხოვნებს. შეფასება ეფუძნება წინასწარ შემუშავებულ კრიტერიუმებსა და რუბრიკებს. **რჩევა**: კარგი იქნება თუ სკოლა გამოიყენებს არა მხოლოდ თემებზე, არამედ საკითხებზე მორგებულ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებსაც, სადაც მკაფიოდ იქნება გამოხატული საკითხის შინაარსთან შესაბამისობაში მყოფი კრიტერიუმები, რომლებიც წინასწარ იქნება

	ცნობილი სასკოლო საზოგადოებისთვის. ეს უზრუნველყოფს მოსწავლის აკადემიური პროგრესის ობიექტურ შეფასებასა და კონსტრუქციული უკუკავშირის მიწოდებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, სადაც დეტალურად არის გაწერილი რა ინფორმაციას უნდა მოიცავდეს პედაგოგის მიერ გაწერილი შეფასების ინსტრუმენტი. კათედრას წარმოდგენილი აქვს ზოგადი, განმსაზღვრელი და განმავითარებელი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის) შეფასების რუბრიკები, კათედრას აქვს მზაობა კურიკულუმში გაწერილ კომპლექსური ბუნების დავალებებს თან დაურთონ შესაბამისი შეფასების რუბრიკები, **რჩევა**: სასურველია დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე კათედრამ შეიმუშაოს კურიკულუმში გაწერილი კომპლექსური ბუნების დავალებების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებზე (სამიზნე ცნება) და დაეფუძნება ვალიდურობის, გამჭირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	კათედრის მიერ წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებების შეფასების რუბრიკები მიემართება შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიან მიზნებს, შესაბამისად არის ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი და სანდო. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმები მიემართება სამიზნე ცნებებისკენ და კონკრეტულ დავალებაში დამუშავებულ ქვეცნებებისკენ. თუმცა, წარმოდგენილ შემაჯამებელი(ტესტური)დავალების შეფასების რუბრიკებში, სასურველია უფრო მეტად დაკონკრეტდეს, თუ რა კონკრეტული საკითხების ცოდნა მოეთხოვება მოსწავლეს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ინტერვიუს პროცესიდან გამომდინარე შეგვიძლია დავსკვნათ, რომ შეფასების კრიტერიუმები შემუშავებულია საფეხურის სტანდარტის გათვალისწინებით. მოსწავლეები შეფასდებიან კონკრეტულ სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით მრავალფეროვანი თემის საკითხის ფარგლებში. კათედრას შემუშავებული აქვს კონკრეტული დავალების შეფასების რუბრიკები. რის მიხედვითაც ჩანს რომ კათედრას აქვს მზაობა ესტეტიკური აღზრდის მიმართულებით შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი ატარებდეს ჰოლისტურ ხასიათს. მორგებული იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე და იძლეოდეს დიფერენცირების საშუალებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმში განსაზღვრულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების გამოყენება, შეფასების ფორმები და კრიტერიუმები, რაც ქმნის მოსწავლეთა მიღწევების ობიექტურად შეფასების საფუძველს. წარმოდგენილია თითოეული საფეხურის შეფასების რუბრიკის ნიმუში. **რჩევა:** შეფასების სისტემის ვალიდურობისა და სანდოობის კიდევ უფრო გაძლიერების მიზნით, სასურველია შეფასების რუბრიკებში განსაზღვრული კრიტერიუმები უფრო მჭიდროდ იყოს დაკავშირებული შესაბამის სამიზნე ცნებებსა და თემატურ საკითხებთან. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	მათემატიკის მასწავლებლების მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა ორიენტირებულია ვალიდობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრებაზე. პედაგოგთა პროფესიული გამოცდილება უზრუნველყოფს იმას, რომ მათ სიღრმისეულად ესმით მოსწავლეთა მიღწევების ობიექტური შეფასების მნიშვნელობა.

	წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები და რუბრიკები მიზნად ისახავს მოსწავლეთა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების რეალურ გაზომვას, ხოლო შეფასების პროცესის თანმიმდევრულობა უზრუნველყოფს მიღებული შედეგების სანდოობას. მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ ისინი იყენებენ შეფასების კრიტერიუმებისა და პროცედურების წინასწარ გაცნობას, მოსწავლეებთან და მშობლებთან. სისტემა ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებსა და მოსწავლის თვითშეფასების ბარათებს, ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის საჭიროებაზე მორგებულ შეფასებას. **რჩევა** მიუხედავად წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტებისა, ზოგიერთი რუბრიკა ატარებს ზოგად ხასიათს (მაგალითად, განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე). სასურველია, კათედრამ გადასინჯოს და უფრო მეტად დააკონკრეტოს აღნიშნული რუბრიკები, ისე რომ ისინი ზუსტად შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის (ესგ) მათემატიკის სტანდარტის მიზნებსა და შეფასების ინდიკატორებს. ეს უზრუნველყოფს სუბიექტური თუ შემთხვევითი ფაქტორების გავლენის მინიმუმამდე შემცირებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	პედაგოგებს წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილი რუბრიკები შემუშავებულია ესგ-ს მოთხოვნების გათვალისწინებით, გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტიდან და აფასებს თითოეულ სამიზნე ცნებას. შესაბამისად შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი შეფასების დოკუმენტაციის (რუბრიკები) და პედაგოგთან ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში გამოიყენება შეფასების სხვადასხვა ფორმა, მათ შორის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. მოსწავლეებს მიეცემათ უკუკავშირი, რაც ხელს უწყობს მათი პროგრესის გაუმჯობესებას.

	თუმცა, დოკუმენტაციის ანალიზმა აჩვენა, რომ შეფასების სისტემა არ არის ერთგვაროვანი და ცალკეული დოკუმენტები სრულად ვერ აკმაყოფილებს ვალიდურობისა და გამჭვირვალობის კრიტერიუმებს. კერძოდ: ● რუბრიკების კრიტერიუმები ყოველთვის არ არის დაკავშირებული სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებს ● ზოგ შემთხვევაში შეფასება მოიცავს არასაგნობრივ კომპონენტებს **რჩევა:** სასურველია შეფასების რუბრიკები განახლდეს და დაეფუძნოს სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებით და პედაგოგებთან საუბრის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლაში გამოიყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ფორმებს. მოსწავლეებს მიეცემათ უკუკავშირი, რაც ხელს უწყობს მათი პროგრესის გაუმჯობესებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

დაწესებულებას შედგენილი და დამტკიცებული აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით სსიპ ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლის შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი (დირექტორის ბრძნება 01-03/36, 05.06.2026წ., რომელიც განსაზღვრავს ვერიფიკაციის პროცესთან დაკავშირებულ ძირითადი მექანიზმებს და სტანდარტებს, რომლებიც მოიცავს როგორც პროცესების, ასევე შედეგების მართვის პრინციპებს. კერძოდ, ვერიფიკაციის განხორციელების ეტაპებს, რისკების სისტემას, ვერიფიკაციის განხორციელების პროცესს, შედეგების შეფასებას და უკუკავშირის მიწოდებას შემფასებლისთვის, შერჩევის სტრატეგიას და ა.შ. აღნიშნული მექანიზმის არსებობა მომავალში უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სანდოობის, გამჭვირვალობისა და ობიექტურობის გაძლიერებას. განსაზღვრული პროცედურები ხელს შეუწყობს შეფასების შედეგების ხარისხის კონტროლს, გამოვლენილი საჭიროებების დროულ იდენტიფიცირებასა და შესაბამისი გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვას. ამასთან, ვერიფიკაციის მექანიზმი შექმნის საფუძველს შეფასების პროცესების მუდმივი განვითარებისთვის და უზრუნველყოფს

დაწესებულებაში ხარისხის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული პრაქტიკის ჩამოყალიბებას. ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მიერ წარმოდგენილი ვერიფიკაციის დასკვნის ნიმუშიც. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა შეფასებასა და აღრიცხვას ელექტრონულ ჟურნალში, რომლის მონიტორინგი პერიოდულად განხორციელდება. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
- ვერიფიკაციის დასკვნის ნიმუში;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები (განმსაზღვრელი და განმავითარებელი).

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში შემუშავებული კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები ინტეგრირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვის ეტაპზე. ვინაიდან

	დაწესებულება იწყებს ფუნქციონირებას, შექმნილია რესურსული ბაზა და შემუშავებულია მათი გამოყენების მექანიზმები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს რომ, გრიფმინიჭებული და/ან განათლების სამინისტროს მიერ აღიარებული სახელმძღვანელოების გარდა იყენებენ სამუშაო რვეულებს, რუკებს, გლობუსებს, პოსტერებს, დამატებითი ელექტონული სასწავლო რესურსებს (ონლაინ ვიდეო რესურსები, ძირითადად YouTube-ზე განთავსებული ბმულები). სკოლას აქვს კომპიუტერები, ინტერნეტი, პროექტორი, რაც საინტერესო და მრავალფეროვანი გაკვეთილების ჩატარებას უწყობს ხელს და მასწავლებელს უადვილებს სწავლა - სწავლების პროცესს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კურიკულუმებში, სახელმძღვანელო გამოყენებულია, როგორც ძირითადი რესურსი, ის წარმოადგენს მთავარ საყრდენს და უშუალოდ უკავშირდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს. კათედრა ასევე იყენებს დამხმარე რესურსებს, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებას და მოსწავლეების ინტერესის გაღვივებას. კურიკულუმებში ჩაშენებულია ელექტრონული ბმულები საგანმანათლებლო ვიდეოების სახით, რაც ეხმარება მოსწავლეებს სწავლის შედეგების მიღწევაში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესში მოხდება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსის გამოყენება ინტერვიუს პროცესიდან დადგინდა, რომ კათედრა გარდა

	ძირითადი რესურსებისა, აქტიურად გამოიყენებს დამატებით სასწავლო რესურსებს (მაგ. ტელესკოლა, რეპროდუქციები, აუდიო და ვიზუალი მასალა). **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი სასწავლო რესურსებით. კურიკულუმით განსაზღვრულია როგორც ძირითადი, ისე დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები. ძირითად რესურსად გამოყენებულია გრიფირებული სახელმძღვანელო, ხოლო დამატებით გათვალისწინებულია მხატვრული და არამხატვრული ტექსტები, ელექტრონული რესურსები, ინტერნეტბმულები და სხვა სასწავლო მასალები, რომლებიც შეესაბამება საგნის შინაარსს და დაგეგმილ სასწავლო პროცესს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესში სწავლების სამივე საფეხურზე მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმით, უშულაოდ საგნის მასწავლებლების მიერ განსაზღვრულია როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სასწავლო რესურსების, რომლებიც კოლაბორაციაშია სტანდარტით გათვალისწინებულ სასწავლო თემებთან, სამიზნე ცნებებთან/ქვეცნებებთან და შესაქმნელ შემოქმედებით პროდუქტთან, სასწავლო პროცესის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად. ძირითად რესურსებთან ერთად, როგორიცაა გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე გამოიყენება დამხმარე საშუალებები, ონლაინრესურსები და ტელესკოლის გაკვეთილები. თუმცა ეს ყველა თემასთან მიმარტებით არ ჩანს **რჩევა:** სასურველია გაამდიდროთ ზოგიერთი კლასის დამხმარე რესურსთა სია. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	კურიკულუმის რესურსების ნაწილი მოწმობს და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ ისინი სასწავლო პროცესში გამოიყენებენ კურიკულუმით გაწერილი თემების შეასაბამის რესურსებს. კერძოდ: მატერიალურ რესურსს- არსებული სპორტული

	ინფრასტრუქტურა და ინვენტარი; ძირითად საგანმანათლებლო რესურსს - გრიფირებულ სახელმძღვანელოები: დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის გზამკვლევი და მასწავლებლის წიგნი; მასწავლებლის გზამკვლევი სპორტის სხვადსხვა სახეობების მიხედვით საბაზო და საშუალო საფეხურზე; ასევე პრეზენტაციებს თეორიული სწავლებისათვის; სწორად შერჩეულ დამხმარე ელექტრონულ რესურსს, როგორიცაა ვიდეორგოლები ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებითა და სპორტის სხვადსხვა სახეობის ტექნიკის სწავლებით. წარმოდგენილი რესურსები ხელს შეუწყოს მოსწავლეთა გაყვანას კურიკულუმით გათვალისწინებულ სწავლის საფეხურეობრივ შედეგზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	სკოლა კომპიუტერულ ტექნოლოგიებში გამოიყენებს სამინისტროსთან შეთანხმებულ ელექტრონულ საგანმანათლებლო რესურსს https://school.emis.ge და სხვა დამხმარე ლიტერატურას და რესურსებს, რომელიც მასწავლებელს გაწერილი აქვს სასკოლო საგნობრივ კურიკულუმში. **რჩევა:** სასურველია, კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებმა მეტად წაახალისონ მოსწავლეები, რათა მათ თავად შექმნან სასწავლო ციფრული რესურსები (მაგალითად, ვიდეო-გაიდები ან ელექტრონული წიგნები თანატოლებისთვის), რაც გააძლიერებს მათ მეტაკოგნიტურ უნარებსა და შემოქმედებითობას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	პედაგოგებმა გასაუბრებისას დაადასტურეს, რომ დაწყებითი კლასებში წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულ რესურსებს აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში განსაზღვრულია დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის პროცედურა, რომელიც განხორციელდება საგნობრივი კათედრების დონეზე- საბუნებისმეტყველო კთადრის სხდომებზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმების რესურსებში ასახულია სახელმძღვანელოები, რომლებიც გრიფმინიჭებულია და/ან აღიარებულია განათლების სამინისტროს მიერ. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კათედრას აქვს მზაობა თავად შექმნან დამატებითი რესურსები და მოახდინონ მათი ვალიდაცია შესაბამისი წესით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სასწავლო პროცესში, გარდა გრიფირებული სახელმძღვანელოებისა, გამოიყენებენ დამხმარე მატერიალურ რესურსებს და ელექტრონულ რესურსებს, მაგ. საგანმანათლებლო ვიდეოებს. რესურსების ვალიდაციას მოახდენენ კათედრის სხდომაზე, სასწავლო წლის დასაწყისში. დამატებითი რესურსების ჩამონათვალს დამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესში მოხდება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსის გამოყენება ინტერვიუს პროცესიდან დადგინდა, რომ კათედრა გარდა ძირითადი რესურსებისა, ამასთან, პედაგოგები აქტიურად გამოიყენებენ მრავალფეროვან დამხმარე სასწავლო რესურსებს, (მაგ: ტელესკოლა, რეპროდუქციები, აუდიო და ვიზუალი

	მასალა) რომელთა ვალიდაციას უზრუნველყოფს ესთეტიკური აღზრდის კათედრა. კათედრაზე განხორციელდება დამხმარე რესურსების შეფასება ეროვნული სასწავლო გეგმისა და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის, სწავლის შედეგების მიღწევის ხელშეწყობის, ასევე მოსწავლეზე ორიენტირებულობის, მოსწავლეთა საჭიროებების, შესაძლებლობებისა და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინების თვალსაზრისით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესში ძირითად რესურსად გამოყენებული იქნება გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები. ამასთან, პედაგოგები აქტიურად გამოიყენებენ მრავალფეროვან დამხმარე სასწავლო რესურსებს, რომელთა ვალიდაციას უზრუნველყოფს სახელმწიფო ენის კათედრა. კათედრაზე განხორციელდება დამხმარე რესურსების შეფასება ეროვნული სასწავლო გეგმისა და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის, სწავლის შედეგების მიღწევის ხელშეწყობის, ასევე მოსწავლეზე ორიენტირებულობის, მოსწავლეთა საჭიროებების, შესაძლებლობებისა და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინების თვალსაზრისით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, მათ შორის გრიფირებული სახელმძღვანელოების, ონლაინრესურსების გამოყენება უზრუნველყოფს მათემატიკის სასწავლო პროცესის ეფექტურობას, ხელს უწყობს მოსწავლეთა წარმატებასა და განვითარებას. რჩევა: იმისათვის რომ დამხმარე რესურსები კიდევ უფრო მიზანმიმართულად და სინქრონულად იქნას გამოყენებული, და ფარავდეს ყველა თემას სასურველია, მათემატიკის კათედრის წევრები შეთანხმდნენ მათი შერჩევისა და ინტეგრაციის ერთიანი ხედვის შესახებ. რაც

	გულისხმობს რესურსების ვალიდაციის გაძლიერებას ყოველი დამატებითი მასალა, რომელიც გამოიყენება სწავლებაში, უნდა იყოს გულდასმით შემოწმებული და დამტკიცებული. (შესაბამისობა ესგ-სთან, სიზუსტე, ასაკობრივი მორგებულობა), რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი პედაგოგიური ღირებულება და ხელმისაწვდომობა ყველა მოსწავლისთვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	გასაუბრებისას აღმოჩნდა რომ ისინი კათედრაზე მოახდენენ შერჩეული ძირითადი და დამხამრე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. რესურსი ვალიდური იქნება სასწავლო თემებისა და სამიზნე ცნებების მიმართულებით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	პედაგოგებთან გასაუბრებითა და კურიკულუმის სამუშაო ვერსიების ანალიზით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული ციფრული პლატფორმები (მაგ: Scratch, Code.org) წინასწარ არის შერჩეული მათი საიმედოობის, უსაფრთხოებისა და მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებით. მასწავლებლები განიხილეს ეს რესურსები, რათა დარწმუნდნენ, რომ ისინი ზუსტად პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და თემებს. **რჩევა:** სასურველია, მასწავლებლებმა შექმნან ამ გამოცდილი და საუკეთესო რესურსების ერთგვარი ციფრული ბიბლიოთეკა, რაც გაამარტივებს მათ გამოყენებას მომავალში და დაეხმარება ახალ კოლეგებს გამოცდილების სწრაფად გაზიარებაში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	პედაგოგებმა გასაუბრების პროცესში აღნიშნეს, რომ ძირითადად ისარგებლებენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, მაგრამ სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენებენ სხვადასხვა დამხმარე რესურსებს, რომლის ვალიდაციასაც განახორციელებენ

	კათედრაზე, სადაც შემოწმდება ესა თუ ის რესურსი შეესაბამება თუ არა ესგ-ით საგნობრივი სტანდარტით განსაზღრულ მოთხოვნებს, ეხმარება თუ არა მოსწავლეს სტანდარტში წარმოდგენილი მიზნების მიღწევაში და აკმაყოფილებს თუ არა მოთხოვნებს, როგორიცაა მოსწავლეზე ორიენტირება, მათ საჭიროებაზე მორგება, მათი შესაძლებლობებისა და უნარების გათვალისწინება და ა შ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა უზრუნველყოფილია ძირითადი მატერიალური რესურსითა და ინფრასტრუქტურით, რაც მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით ქმნის კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. ადგილზე დათვალიერებისა და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში ამ ეტაპზე არ არის ამწოვი კარადა და ცეცხლგამძლე ზედაპირის მქონე სამუშაო მაგიდა. დაწესებულებამ ვიზიტის მიმდინარეობისას წარმოადგინა ხელშეკრულებები N17,17.07.2026წ. და N18, 17.07.2026წ. - ლაბორატორიის ინვენტარის, ლაბორატორიის ოთახში ლითონის სადგამის და გამწოვის შესყიდვის თაობაზე. **<u>აღნიშნულ კომპონენტთან დაკავშირებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც მონტაჟის პროცესი იწყება დაუყოვნებლივ და დასრულდება 1 (ერთი) წლის ვადაში, არაუგვიანეს 15.06.2027წ. გეგმის სრულყოფამდე,</u>**

	<u>სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი იქნება ალტერნატიული, უსაფრთხო/სიმულაციური სასწავლო რესურსებისა და თვალსაჩინოებების გამოყენებით.</u> <u>რეკომენდაცია: საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმის შეუფერხებელი და უსაფრთხო განხორციელების უზრუნველსაყოფად, სკოლამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის განრიგის მკაცრი დაცვა - ამწოვი კარადისა და ცეცხლგამძლე ზედაპირის მქონე სამუშაო მაგიდის დამონტაჟება შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში. აღნიშნული ინფრასტრუქტურის სრულყოფამდე, პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდეს უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვითა და ალტერნატიული (მათ შორის, ვირტუალური/სიმულაციური) სასწავლო რესურსების გამოყენებით.</u> **ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით, ძირითადი მატერიალური რესურსი სახელმძღვანელოები და სამუშაო რვეულებია. ისინი გამდიდებულია ტექსტებით, რუკებით, ცხრილებით, დიაგრამებით, რომლებიც სხვადასხვა სააზროვნო და შემოქმედებითი უნარების განვითარებას უწყობს ხელს. სკოლას ასევე აქვს რუკები, გლობუსები, თვალსაჩინოება, ინტერნეტი, პროექტორი, კომპიუტერები, რომლებიც დამატებითი ციფრული რესურსების გამოყენების საშუალებას იძლევა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან კურიკულუმით დაგეგმილი აქტივობების შესაბამისი მატერიალური რესურსით - სახელმძღვანელოებით, დამატებითი საგანმანათლებლო, მატერიალური რესურსებით. სარგებლობენ ბიბლიოთეკით და ინტერნეტით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ესთეტიკური აღზრდა	ახლადდაფუძნებული სკოლა უზრუნველყოფილია კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის აუცილებელი რესურსებით, რაც ქმნის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად სწავლა-სწავლების და კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	ახლადდაფუძნებული სკოლა უზრუნველყოფილია კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის აუცილებელი რესურსებით, რაც ქმნის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად სწავლა-სწავლების განხორციელების სათანადო პირობებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს**
მათემატიკა	ახლადდაფუძნებული სკოლა სრულად უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით ინფრასტრუქტურითა და ყველა აუცილებელი რესურსით, რაც სწავლა-სწავლების ეფექტურად წარმართვის წინაპირობას ქმნის. მოსწავლეთა ადგილების განსაზღვრული ზღვრული რაოდენობის დაცვა და არსებული მატერიალური რესურსები იძლევა იმის გარანტიას, რომ სკოლაში ჩამოყალიბდეს ოპტიმალური სასწავლო გარემო. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

სპორტი	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია არსებული სპორტული ინვენტარითა და მატერიალური რესურსით მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (სკოლას აქვს კეთილმოწყობილი გარე სპორტული მოედანი და შიდა დარბაზი). **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	სკოლა სრულად არის უზრუნველყოფილი კომპიუტერული ტექნოლოგიების სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტიანი რეალიზება. ვინაიდან სკოლა არის ახლად დაფუძნებული, ინფრასტრუქტურის დაგეგმვისა და მატერიალური შესყიდვების პროცესში ზუსტად იქნა გათვალისწინებული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და საგნობრივი სტანდარტების სპეციფიკა. ამჟამად, კომპიუტერული ტექნოლოგიების ლაბორატორიაში განხორციელებულია შემდეგი ტექნიკური სამუშაოები: სრულად არის ინსტალირებული და გამართული ელექტრონული ჩამრთველები, ქსელური და კვების კვანძები. უზრუნველყოფილია სტაბილური, მაღალი გამტარუნარიანობის მქონე უსადენო ინტერნეტი (Wi-Fi). ეს იძლევა სასწავლო პროცესის შეუფერხებლად მართვისა და თანამედროვე ონლაინ საგანმანათლებლო პლატფორმების ინტეგრირების შესაძლებლობას. ინფრასტრუქტურა მოიცავს გამართულ პორტატულ და პერსონალურ კომპიუტერებს. არსებული მატერიალური აღჭურვილობა დამატებითი რესურსების გათვალისწინებით სრულად აკმაყოფილებს მოსწავლეთა მაქსიმალურ ნაკადს ერთდროული დატვირთვის რეჟიმში. ეს სრულად გამორიცხავს რესურსების დეფიციტს და გარანტირებულად უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ ხელმისაწვდომობას კომპიუტერულ ტექნიკასთან. შესაბამისად, დაწესებულების მატერიალური ბაზა ქმნის მყარ საფუძველს კურიკულუმით დასახული სწავლის შედეგების მისაღწევად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლა აქვს საკმარისი მატერიალური რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭირო რესურსებზე წდომას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

<u>სკოლას სრულად არ ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი, კერძოდ, ვიზიტის დროს ვაკანტური იყო ფიზიკის, გეოგრაფიისა და სამოქალაქო განათლების პედაგოგების პოზიციები. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2.2.4 ინდიკატორთან დაკავშირებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებული აქვს 10.09.2026წ. - რეკომენდაცია - დაწესებულებამ უზრუნველყოს ფიზიკის, გეოგრაფიისა და სამოქალაქო განათლების პედაგოგების დასაქმება სკოლაში შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში.</u> **ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- ვერიფიკაციის დასკვნის ნიმუში
- ვერიფიკაციის მექანიზმების დამტკიცების შესახებ
- კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების დამტკიცების შესახებ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს დოკუმენტი ,,სსიპ ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლის კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი, (ბრძანება N01-03/37, 05.06.2026წ.). შესაბამისად, მონიტორინგისა და შეფასების პროცესები დაეყრდნობა წინასწარ შემუშავებულ და ოფიციალურად დამტკიცებულ მეთოდოლოგიურ საფუძველს. აღნიშნული ნორმატიული აქტი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის დაკვირვებისა და შეფასების ეტაპების მკაცრ რეგლამენტირებასა და გამჭვირვალობას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სკოლაში მოქმედი მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები არ შემოიფარგლება მხოლოდ არსებული ვითარების დადგენით. სასწავლო პროცესში ხარვეზების ან აკადემიური შეფერხებების გამოვლენისას, შეფასების შედეგები გახდება პრაქტიკული გადაწყვეტილებების მიღების საფუძველი. მიღებული მონაცემების საფუძველზე შეიქმნება ხარვეზების აღმოფხვრის,

სწავლების ალტერნატიული გზებისა და საჭირო ინტერვენციების კონკრეტული სამოქმედო გეგმები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

მონიტორინგისა და შეფასების სისტემას ექნება წამახალისებელი და მხარდამჭერი ხასიათი. იგი სრულად იქნება მიმართული სასკოლო საზოგადოების წევრების — მასწავლებლებისა და მოსწავლეების — უწყვეტ დახმარებაზე. კონსტრუქციული უკუკავშირის მეშვეობით, პედაგოგები შეძლებენ სწავლების ხერხების დახვეწას, ხოლო მოსწავლეებს მიეცემათ შესაძლებლობა, გააუმჯობესონ საკუთარი აკადემიური შედეგები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ,,სსიპ ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლის კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი, (ბრძანება N01-03/37, 05.06.2026წ.).

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

შეფასების ობიექტურობისა და სანდოობის უზრუნველსაყოფად, ინფორმაციის შეგროვება განხორციელდება სხვადასხვა წყაროდან. მათ შორის გამოყენებული იქნება მოსწავლეთა ყოველდღიური ნამუშევრები, საკლასო და საშინაო დავალებები, შემოქმედებითი და პრაქტიკული დავალებები, მასწავლებელთა დაკვირვების ჩანაწერები და თვითშეფასების შედეგები. წყაროების ასეთი მრავალფეროვნება უზრუნველყოფს მოსწავლის აკადემიური მიღწევებისა და განვითარების სრულფასოვან ასახვას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სასწავლო პროცესის შეფასებისას გათვალისწინებული იქნება ის გარემო და პირობები, რომლებშიც წარიმართება სწავლა-სწავლების პროცესი. შეფასება არ იქნება მოწყვეტილი რეალურ სურათს, მასში ასახვას ჰპოვებს სასკოლო გარემო, საგნობრივი თავისებურებები, სწავლების ხერხები და თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები. გარემოებათა სიღრმისეული გააზრება სკოლას მისცემს შესაძლებლობას, შეაფასოს არა მხოლოდ საბოლოო შედეგი, არამედ პროცესი და მასზე მოქმედი ფაქტორები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

სასწავლო პროცესში დაინერგება მონაცემთა შეგროვების მრავალმხრივი და მოქნილი საშუალებები. ცოდნისა და უნარების დასადგენად გამოყენებული იქნება როგორც ზეპირი და წერითი გამოკითხვები, ასევე პრაქტიკული დავალებები, დაკვირვების ფურცლები, ჯგუფური მუშაობის ანალიზი და ნამუშევართა კრებულის წარმოება. ხერხების მრავალფეროვნება საშუალებას მისცემს პედაგოგებს, ზუსტად განსაზღვრონ მოსწავლის ძლიერი მხარეები და საჭიროებისამებრ დააკორექტირონ სწავლების გზები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

შეფასების პროცესი იქნება კომპლექსური და მხედველობაში მიიღებს ყველა იმ მნიშვნელოვან გარემოებას, რაც გავლენას მოახდენს მოსწავლის აკადემიურ წინსვლაზე. ყურადღება გამახვილდება მოსწავლის ასაკობრივ თავისებურებებზე, მის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე, პროგრესის დინამიკასა და პიროვნულ მზაობაზე. სხვადასხვა ფაქტორის ანალიზი უზრუნველყოფს სამართლიან, მიუკერძოებელ და თითოეული მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულ შეფასებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

დოკუმენტი ,,სსიპ ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლის კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი (ბრძანება N01-03/37, 05.06.2026წ.). დეტალურად აღწერს სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მიზნებს და შესაბამის ეტაპებს. შეფასების ძირითადი მიზანია საჭიროებებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება, რასაც მოსდევს შესაბამისი სარეკომენდაციო პაკეტის შექმნა კურიკულუმის შემდგომი გაუმჯობესებისა და მხარდაჭერის მიზნით. მონიტორინგისა და შეფასების პროცესში აქტიურად ჩაერთვება სასკოლო საზოგადოება. შედეგად, მიღებული მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით, შემუშავდება სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, რომელიც დაეფუძნება კურიკულუმის განვითარებისა და ეფექტიანი განხორციელების ხელშეწყობას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

დაწესებულება 2026-2027 სასწავლო წლის სექტემბერში გეგმავს საგანმანათლებლო საქმიანობის დაწყებას, შესაბამისად, მისი კურიკულუმები წარმოადგენს ახლად შექმნილ დოკუმენტს. შემდგომში, სკოლა გეგმავს მის მიეს შემუშავებული რეგულაციის საფუძველზე, უზრუნველყოს კურიკულუმის გადამუშავება - გათვალისწინებული იქნება წინარე გამოცდილება და მონიტორინგის და შეფასების შედეგები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ,,სსიპ ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლის კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი (ბრძანება N01-03/37, 05.06.2026წ.),.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი: 30.07.2026წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: